გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 9
(11 466)

2 – 5 თებერვალი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ეროვნული ნაკრები – 1 მარტს ესპანეთში

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ეროვნული ნაკრები თავისთან მიიპატიჟა და ამხანაგური მატჩის გამართვა შესთავაზა. ქართველთა პირველი გუნდის თავკაცებმა თანხმობა განაცხადეს. 2001 წლის 1 მარტს პალმა დე მალიორკაზე ყიფიან-ძოძუაშვილის გუნდის მეტოქე ესპანეთის ერთ-ერთი რეგიონული ნაკრები იქნება.



7

შოთა არველაძეს „ასტონ ვილა“ ეპატიჟება, თავად კი, გულით, „ფიორენტინა“ სურს!

## ფიფამ იცის, როგორ შეურიგდეს უეფას და ევროკავშირს

მსოფლიოსა და ევროპის საფეხბურთო ორგანიზაციებსა და ევროკავშირს შორის სატრანსფერო კონფლიქტი, რომელიც ძველი კონტინენტის ფეხბურთის ქაოსსა და ანარქიას უქადდა, ეტყობა, დასასრულს მიუახლოვდა. ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა განაცხადა, რომ უახლოეს 3-4 კვირაში ფიფა წარუდგენს ევროკავშირს ისეთ პროექტს, რომელსაც ევროპელი პოლიტიკოსები უთუოდ მიიღებენ.



3

ხურცილავა ასახელებს შემადგენლობას



# გიორგი კანდელაკი კვლავ ნოკაუტით იმარჯვებს

მძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკი თითქმის ნახევარი წელიწადია რინგზე არ გამოჩენილა და აი, მორიგი სარეიტინგო ბრძოლა ინგლისში აფრიკის 1999 და 2000 წლების ჩემპიონთან კიმ ქუბთ კასონს, რომელსაც 18-დან 16 ბრძოლა ჰქონია მოგებული, აქედან 11 ნოკაუტით. აფრიკელი 2 მეტრზე მეტი სიმაღლისაა და ასეთ მოკრივესთან ბრძოლა ყოველთვის სახიფათოა. ცხადია, მეტოქეებმა თავთავიანთი ტაქტიკა აირჩიეს. უფრო გონივრულად ქართველი მოკრივე იბრძოდა და ზედიზედ რამდენიმე დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს. საბოლოოდ ყველაფერი მე-4 რაუნდში დასრულდა — აფრიკელი ნოკაუტში აღმოჩნდა და გიორგი კანდელაკმა მორიგი შთამბეჭდავი წარმატება იზეიმა.

გუშინ გიორგი კანდელაკი სამშობლოში დაბრუნდა.



2

საჭადრაკო ფესტივალი ყველამ გაალამაზა

# გიორგი გახოკიძე მწვრთნელს აუჯანყდა

გუშინ „პსვ ეინდჰოვენის“ ქართველმა ლეგიონერმა გიორგი გახოკიძემ ჰოლანდიელ ჟურნალისტებთან საუბარში დიდ გაიძულებრა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკის წინააღმდეგ. დასრულდა თუ არა სამარცხვო შემადგენლობის მატჩი, სადაც გახოკიძემ მორიგი გოლი გაიტანა, ჩვენებურმა განაცხადა: „გუნდის მწვრთნელს გერტსის ეერაფერი გამიგია — იგი არც ძირითად შემადგენლობაში მაყენებს, არც ტრანსფერზე მეტყვის. ჰოლანდიის „NAC“-ი და გერმანიის „შალკე-04“ მზად იყვნენ ჩემს შესაძენად და საკმაო თანხას იხდიდნენ. ვიმედოვნებ, მალე სიტუაცია შეიცვლება და სხვა კლუბში გადავალ“.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში „პსვ ეინდჰოვენმა“ მოკლე ხნით იჯარით განდასცა გახოკიძე ისრაელის კლუბ „მაკაბის“ (ხაიფა), მაგრამ მალევე დაიბრუნა.



2,7

## ქართველი მორაგბეები დიდი გამოცდის მოლოდინში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანამშრომლებს კონკურსით შეარჩევს

2

## სამი თვით წინ თბილისს ბავშვთა ფეხბურთის ახალი კერა შეემატა




ქართველმა ალპინისტებმა ბიძინა გუჯაბიძემ, მერაბ ხბაზმა, აფი გიგანმა და მამუკა ცისისელმა წარმატებით დალაშქრა მწვერვალი უშბა (4710 მ). თ. ჯიშკარიანის საუბარს ალპინისტებთან „ლელოს“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.




3,4

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## საკი გადადგა!

გუშინ უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა სენსაციური ცნობა გაავრცელეს. — თანამდებობიდან გადადგა იტალიის „პარმას“ მთავარი მწვრთნელი არიგო საკი, რომელიც ამ პოსტზე სულ სამი მატჩი იმყოფებოდა. ოფიციალური ვერსიით, საკის გადაწყვეტილება გამოწვეულია მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო.




## «ყოჩაღ «ვალენსია»! ამ კლუბმა არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელი შეიძინა»

5

**გუშინ... ფეხბურთი.** **იტალიის თასი.** უდინეზე — პარმა 2-1 (0-1 ამოროზო — 6, 1-1, 2-1 მარჯოტა — 76, 90) **ხელბურთი.** **ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი,** 1/4 ფინალი, საფრანგეთი — გერმანია 26:23 (ოვერტაიმში).

ფორმულა-1

## ალეზი რეკორდს აუმჯობესებს

ბარსელონაში სენსაცია მოხდა: ფრანგმა პილოტმა ჟან ალეზიმ ტესტური გარბენის ერთ-ერთი წრე სარეკორდო შედეგით — 1:18,967 გაიარა. ეს ახალი მიღწევაა იმ მანქანებისთვის, რომლებიც შექმნილია 1997 წლის შემდეგ. თავად სპორტსმენმა მომხდარს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ძალიან მიხარია დღევანდელი შედეგი. ჩვენი გუნდის ბოლიდი ყველას სჯობია. მომავალ სეზონში „Prost grand prix“ ფავორიტი იქნება“.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

## განცხადება

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს კონკურსს სეოკ-ის აპარატში შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:**

1. სპორტული დირექტორი;
2. ოლიმპიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;
3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორი;
4. საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის კოორდინატორი — პრესსამსახურის ხელმძღვანელი;
5. სამდივნოს უფროსი;
6. მთავარი ბუღალტერი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს უნდა ჰქონდეთ სპორტულ და ოლიმპიურ ორგანოებში, პრესაში და საფინანსო ორგანოებში მუშაობის გამოცდილება, ფლობდნენ ინგლისურ ენას, იცოდნენ კომპიუტერთან მუშაობა.

განცხადების შემოტანის ვადაა 10 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: დ. ალმაშენებლის გამზ. 65. გასაუბრება 12 თებერვალს.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.**

### ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების კანდიდატები

**მარიამ ქევხიშვილი**
მძლეოსნობა (ბირთვი)



***დაიბადა*** 1986 წელს
***სიმაღლე*** 186 სმ.
***წონა*** 95 კგ.
***მძლეოსნობაში*** ვარჯიშობს 1997 წლიდან
***განათლების*** სამინისტროს მძლეოსნობის სპორტსკოლის აღსაზრდელია
***მწვრთნელები*** ვასილ მჭედლიშვილი და ყარამან საბანაშვილი
***საუკეთესო შედეგი:*** 4 კგ-იანი ბირთვი — 11,82 მ.
***არის*** საქართველოს პირველობის პრიზიორი
***ამჟამად*** ემზადება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეებისთვის.

## 50 წლის წინათ...

***ბათუმი.*** მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების დღეებში ჩატარდა შეჯიბრებები ფრენბურთში, ფარიკაობასა და ჭადრაკში. ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზმა კი ბათუმისა და გაგრის მოსწავლე მოფარიკავეთა ამხანაგურ შეხვედრას უმასპინძლა.

***სტალინირი.*** მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირი მოიგო მ. ცხოვრებოვმა, ფარიკაობაში კი წარმატება ხვდა ჭაბუკთა შორის ხ. ჩიბიროვს, გოგონებში ზ. ტიგიევას.

***სიღნაღი.*** აქაურმა მოსწავლეებმა მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ტანვარჯიშში იასპარეზეს. ანაგელებმა კალათბურთში აჯობეს ვაქირელ თანატოლებს. ტანვარჯიშში თავი ისახელეს ვ. დოინჯაშვილმა, ე. ყარალაშვილმა, ვ. ხარაზიშვილმა.

***სოხუმი.*** აქ მოსწავლეთა შეჯიბრებები გაიმართა კრივში, კალათბურთში და ჭადრაკში.

***თელავი.*** „ბურევესტნიკის“ მიერ ორგანიზებულ სათხილამურო კროსში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ს. სახიევმა, ქალებში ჯ. ჯეირანაშვილმა.

***ზუგდიდი.*** ქაღალდის კომბინატის საშუალო სკოლაში მოეწყო ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური ბილიკები.

# ღალიეთ „ნაბეღლავი“, ისიამოვნეთ კოკა-კოლათი და... ითამაშეთ ჭადრაკი

ცოდნის და სიბრძნის ტაძარმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბრძენთა თამაშს უმასპინძლა. აქ გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე XXI საუკუნე“, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები, გამოცდილი ოსტატები და ნორჩი მოჭადრაკეები, საქართველოდან, სომხეთიდან, თურქეთიდან.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული, რისთვისაც მადლობა ეთქმის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, განათლების სამინისტროს, საჭადრაკო სკოლა „მართვეს“.




ასევე მადლობის ღირსია საქართველოს კონტროლის პალატა, რომელმაც დააწესა ტურნირის მთავარი პრიზი — ტელევიზორი. პრიზები დააწესეს თსუ რექტორატმა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა. მონაწილეთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა იმ ფაქტმა, რომ ასპარეზობის მსვლელობისას უფასოდ მიირთმევდნენ „ნაბეღლავსა“ და „კოკა-კოლას“. „ნაბეღლავის“ წარმომადგენლები ორგანიზებული საკითხების მოგვარებაშიც დაეხმარა ორგანიზატორებს.

ცნობილმა მოჭადრაკეებმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, დიდოსტატებმა თამაზ გელაშვილმა, ნინო ხურციძემ, გია ბაღათუროვმა, დიანა დარჩიამ და სხვებმა ნორჩი მოჭადრაკეებისათვის და ჭადრაკის მოყვარულთათვის საჩვენებელი მატჩები გამართეს და პატარებს ერთდროული თამაშის სეანსიც შესთავაზეს.

ეს იყო ნამდვილი საჭადრაკო ზეიმი.

„იმედია, საჭადრაკო ფესტივალი ტრადიციად იქცევა და ზამთრის სესიებზე, როცა უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს, ასეთი ზეიმი კვლავ მოეწყობა — განაცხადა ტურნირის დახურვაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა, თსუ-ს პრორექტორმა ანზორ ხელაშვილმა, რომელიც სიჭაბუკეში გატაცებული ყოფილა ჭადრაკით და ოსტატობის კანდიდატიც იყო. ასე რომ, დიდი სპორტული ტრადიციების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჭადრაკი დიდი ხნით არ ემშვიდობება.

**ქვარცხლბეკი.** **საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე XXI საუკუნე“. ორგანიტორები: განათლების სამინისტრო, თსუ და საჭადრაკო სკოლა „მართვე“.**

***„ა“ ტურნირი. ვაჟები:*** 1. არტურ ჩიბუხჩიანი 6 ქულა (სომხეთი — ერევანი), 2. ფრიდონ ყალაგაშვილი 5,5 (რუსთავი), 3. ბეგლარ ჯობავა 5, (გალი), ***ქალები:*** 1. სოფიკო ტერელაძე 4,5, 2. თამრიკო ბალხამიშვილი 4,5, 3. ნინო მაისურაძე 4 (სამივე — თბ.).

***„ბ“ ტურნირი. 14 წ. ჭაბუკები:*** 1. თამუნა მხეიძე 6, 2. არჩილ ბერუაშვილი 5,5. 3. დავით ჩოკოშვილი 5,5. ***12 წ. ჭაბუკები:*** 1. გიორგი მარგველაშვილი 7,5, 2. ლევან სამნაშვილი 6,5, 3. ოთარ ეფაძე 6 (სამივე — თბ.). ***გოგონები:*** 1. მაკა კაპანაძე 6, 2. ნელი მერაბიშვილი 5, 3. ნინო ხვედელაძე 4,5 (სამივე — თბ.).
***10 წ. ჭაბუკები:*** 1. ლევან ბრეგაძე 8, 2. კოკა გოგოხია 5,5, 3. არჩილ ამირხანაშვილი 5,5 (სამივე — თბ.). ***გოგონები:*** 1. სალომე ხაჟომია 5, 2. ანა ხაჟომია 4,5, 3. სოფიკო გურამიშვილი 4 (სამივე — თბ.).
***8 წ. ჭაბუკები:*** 1. მარიამ დანელია 3, (თბილისი), 2. გვანცა მიქაძე 2,5 (სამტრედია), 3. ნიკა კუპრაშვილი 2, (თბილისი).

**გიორგი ჩოკოშვილი,**
**ამირან ბერძენიშვილი.**

# ჩუბინეები რეკორდსმენებად რჩებიან

**საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციამ მიუნხენიდან, სპორტული სროლის საერთაშორისო ფედერაციიდან (ISSF) მიიღო ოფიციალური მსოფლიო რეკორდების ცხრილი ტყვიისა და სასტენდო სროლაში. მასში შესულია ჩვენი ორი წამყვანი სპორტსმენი — სპორტის დამსახურებული ოსტატები თამაზ იმნაიშვილი და ნინო სალუქვაძე. მრგვალ სტენდზე სროლაში დასახელებულია ცხრა მსროლელი, რომლებმაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე აბსოლუტურ შედეგს მიაღწიეს — 125 სამიზნიდან ყველა გატეხეს. თამაზმა, როგორც ცნობილია, ეს შეძლო ხუთი წლის წინათ გერმანიის ქალაქ *ზულში*. ნინო სალუქვაძემ კი თერთმეტი წლის წინათ *ზაგრებში* ლოლიტა ცვეტკოვასთან (ბელორუსია) და სვეტლანა სმირნოვასთან (რუსეთი) ერთად მცირეკალიბრიანი სპორტული პისტოლეტით მრგვალ და ფიგურულ სამიზნეებზე სროლაში 1.764 მოაგროვა 1800 შესაძლებლიდან, რაც დღემდე უნიკალურ რეკორდად ითვლება.**

**ახლა ფენომენალური შედეგების შესახებ. ყველაზე გრძელ დისტანციაზე სროლაში — 300 მეტრზე ორმა სპორტსმენმა — ნორვეგიელმა ჰარალდ სტენვააგმა (1990 წ) და გერმანელმა ბერნედ რუეგკერმა (1994 წ.) — ნებისმიერი საბრძოლო შაშხანის წოლელა მდგომარეობიდან სროლაში 600-დან 600 ქულა დააგროვა.**

**ყველაზე მოკლე დისტანციაზე — 10 მეტრზე პნევმატური იარაღის დგომელა სროლაში ტაილანდელმა *ტივარიტ მეჯჩაჩიპმა* 600-დან 600 ქულა მოაგროვა.**

**50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა მდგომარეობიდან სროლაში 1989-2000 წლებში რვა სპორტსმენმა გაიმეორა აბსოლუტური შედეგი — 600 ქულა.**

# დიდი რაგბი იწყება...

**საქართველოს დიდი, 15-კაცა რაგბის ნაკრები ამ კვირას შეუდგება 2003 წლის მსოფლიო თასის ფინალისკენ მიმავალ გრძელ გზას.**

„ბორჯღალოსნები“ 4 თებერვალს, ამსტერდამში, რაგბის ეროვნულ ცენტრში, ჩვენებურად 18 საათზე ეთამაშებიან მასპინძელს, ჰოლანდიის „ტიტებს“. მატჩი იმავდროულად „ევროპის ერთა თასის“ პირველი ტურის შეხვედრაა. თასზე სულ ექვსი გუნდი თამაშობს. შარშანდელი ჩემპიონი რუმინეთია, საქართველო, რუსეთი და ესპანეთი კი კარპატელთა ძირითადი კონკურენტები არიან პირველ-მეორე ადგილის დასაკავებლად. „ერთა თასის“ ორი უკეთესი გუნდი 2003 წლის მსოფლიო თასის შესარჩევებში პირდაპირ მეოთხე სტადიიდან ერთვება და მთავარ მეტოქესაც შინ ეთამაშება, მაშინ, როცა „ერთა თასის“ დანარჩენ ოთხ მონაწილეს მესამე სტადიიდან მოუწევს შესარჩევებში ჩაბმა და თუ მეოთხე სტადიას მიაღწევს, უშუალო კონკურენტს სტუმრად ეთამაშება. ათი „ბორჯღალოსანი“ წინა უქმეებზე არგენტინაში, შვიდკაცას მსოფლიო თასზე მონაწილეობდა. იქ ქართველებმა 24 გუნდში X ადგილი დაიჭირეს და დაბრუნდნენ საფრანგეთს, სადაც კლუბებში თამაშობენ და საწვრთნელ შეკრებებსაც მართავენ. ამსტერდამის „სხიპჰოლის“ აეროპორტში ჩვენები პარასკევს, 2 თებერვალს ჩაფრინდებიან. მასპინძლები ქართველებს დედაქალაქის ოტელ „ჰაარლემ სუიდში“ დააბინავებენ. „ბორჯღალოსნები“ ეროვნულ ცენტრში შაბათს, ჩვენებურად 18 საათზე წაივარჯიშებენ. ზემოთ შევნიშნეთ და მატჩი კვირას, იქვე, ამავე დროს დაიწყება, მეტოქე გუნდების თამაშის შემდგომი საზიარო ლხინი კი 22 საათზე, ოტელ „აკერსლუტშია“ დანიშნული. საქართველოს ნაკრების ფრანგმა მოძღვარმა, მუსიე კლოდ სორელმა საჰოლანდიო შემადგენლობა ჯერ კიდევ ახალ წლამდე დაასახელა. მას აქეთ ვარჯიშზე დაშავდა სათადარიგო დათო ბოლღაშვილი, შვიდკაცაზე კი დამწყები მახო ურჯუკაშვილი. თუ ესენი კვირამდე ვერ მოკეთდნენ, გამოცხადებულ 22-კაცა რაზმში მოსალოდნელია მცირედი ცვლილებები. ბოლღაშვილს სავარაუდოდ შეენაცვლება საფრანგეთშივე მოთამაშე დავით ცხვედიანი. რაც შეეხება ურჯუკაშვილს, თითქმის უეჭველია, რომ მის ნაცვლად გარემარბად ვეტერანი, „ბორჯღალოსანთა“ ყველა დროის საუკეთესო მელელოვე, არჩილ ქავთარაშვილი დადგება, მით უფრო, რომ „ტელმან-სტეჩკინა“ არგენტინაში შვიდკაცაობდა. ამ სიახლეთა გათვალისწინებით, საქართველოს საჰოლანდიო შემადგენლობის უახლესი ვერსია ასეთია: უკანა ბეკები: №15 ბესიკ ხამაშურიძე (24 წლისა; 12 ბორჯღალი - 1 ლელო), №11 არჩილ ქავთარაშვილი (29; 18 - 11), №14 ბადრი ხეხელაშვილი (23; 8 - 2), №22 ვასილ აბაშიძე (23; 8 - 2) შუა ბეკები: №13 გიო ბუგიანიშვილი (27; 10 - 1), №12 კახა ალანია (28; 10), 10 პალიკო ჯიმშელაძე (26; 19 - 6 ლელო, 4 გარდასახვა, 2 საჯარიმო), №21 თედო ზიბზიბაძე (21; 4). ჰავბეკები: №9 შოთა მოდებაძე (27; 15 - 1, 4, 13), №20 ირაკლი აბუსერიძე (24; 6 - 1). მძიმე ფორვარდები: №1 გოდერძი შველიძე (23; 9 - 1), №2 აქვსენტი გიორგაძე (25; 12 - 3), №3 ლევან ცაბაძე (28; 19 - 6), №16 ტარიელ რატიანიძე (21; 1), №17 სოსო ნიკოლაენკო (26; 7) ზორბა ფორვარდები: №4 ზურაბ მჭედლიშვილი (30; 16 - 2), №5 სოსო პარწიკანაშვილი (29; 9), №18 ვანო ნადირაძე (29; 14 - 3). ჩაუქი ფორვარდები: №6 ვასილ კაცაძე (25; 13 - 2), გია ლაბაძე (28; 18 - 2), №8 ილო ზედგენიძე (24; 7 - 1), №19 დათო ცხვედიანი (25; 1). ნაჰოლანდიევს საქართველო შაბათს, 17 თებერვალს, ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს ჰოლანდიას. თამაში 15 საათზე დაიწყება. შემდეგ „ბორჯღალოსნები“ 4 მარტს კრასნოდარში ეწვევიან რუსეთს, 18 მარტს ეროვნულზე ეთამაშებიან ესპანეთს, 8 აპრილს კი ბუქარესტში რუმინეთს ესტუმრებიან. ამით დასრულდება პირველი წრე, მეორე კი ამავე ვადებში, 2002 წელს გაიმართება.

***

## რაგბი ქართველთა მეტოქის ქვეყანაში

ჰოლანდიური რაგბი და წლევანდელი „ტიტები“ ჰოლანდიის რაგბის კავშირი, ე.წ. ბონდი დაარსდა 1932 წელს. ოფიციალური მონაცემებით, იგი აერთიანებს ექვს პროვინციასა და ას კლუბს. ქვეყანაში ხუთი ათასი კაცი და 1500 ჭაბუკი მოთამაშე, 160 მწვრთნელი და ასი მსაჯია, და ეროვნული პირველობაც ხუთ (!) დონეზე დალაგებულ 12 ათგუნდა ლიგად იმართება. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიურ რაგბს ფეხბურთის ბადალი დიდება არ მოუხვეჭია. ყველაზე ცნობილი არაოფიციალური რეიტინგით, ჰოლანდია მსოფლიოში 29-ე ადგილზეა, საქართველო კი 21-ეზე. როგორც ჩვენ, ასევე ისინი, ბოლო

*იხ. მე-7 გვ.*

**სპორტი და მედიცინა**

# მთავარია დროულად და სწორი მკურნალობა

ცნობილია, რომ სპორტული ტრავმების გამო, ბევრმა საუკეთესო სპორტსმენმა ვერ მოახერხა თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა, ვერ მიაღწია ახალ გამარჯვებებს, რასაც ყველა ქვეყანაში არა მარტო სპორტული, არამედ ეროვნული ბედნიერების მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე სპორტის ფანტასტიკურმა განვითარებამ, რაც ხშირად სპორტსმენთა ზეზღვრულ ფსიქო-ფიზიკურ დაძაბულობასთანაა დაკავშირებული, მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც საყრდენ-სამოძრაო აპარატის ტრავმების სიხშირე, ისე მთელი რიგი ორგანოთასისტემების ფუნქციური და ორგანული დარღვევების შემთხვევები. ეს პრობლემა მოითხოვს ექიმებისა და მწვრთნელების მეტ ყურადღებას. ძირითადი საკითხია სპორტული ტრავმის დროული და ზუსტი დიაგნოსტიკა, რის შემდეგადაც ბევრად უფრო ადვილია ამა თუ იმ დაზიანების, როგორც კონსერვატიული ან ქირურგიული მკურნალობა, ისე რეაბილიტაცია. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ეს პრობლემა ჯერ კიდევ არაა მოგვარებული, რის გამო, ხშირად, სპორტსმენები ხანგრძლივი დროით გამოდიან მწყობრიდან, ან საერთოდ, ველარ უბრუნდებიან დიდ სპორტს.

თუ ძვლების მოტეხილობის დიაგნოსცირება რენტგენოლოგიური გამოკვლევებით პრობლემად არ ითვლება, იგივეს ვერ ვიტყვით ძვალოვანი, კუნთოვანი და მყესოვანი ქსოვილების (მენისკის ჩათვლით) ტრავმის სწორ დიაგნოსტიკაზე, ვინაიდან გამოკვლევებს ესაჭიროება თანამედროვე აპარატურა. ერთი მათგანი — „სონოლაინ ელეგრა“ (სამ განზომილებიანი პანორამული და ქსოვილოვან-ჰარმონიული პროგრამებით აღჭურვილი ხელსაწყო), დღეს არის მხოლოდ ქ. თბილისის ულტრასონოგრაფიის სასწავლო-კვლევით ცენტრში (ყოფილი ლეჩკომბინატის შენობა), რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი დავით ტატიშვილი. ტრავმის მკურნალობა, ცხადია, პირველ რიგში მოითხოვს სწორი დიაგნოზის დასმას. წარსულს ჩაბარდა ის პერიოდი, როდესაც ქსოვილთა ტრავმული დაზიანების მკურნალობა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე ხდებოდა. სამედიცინო ტექნიკის განვითარება საშუალებას იძლევა ბევრად უფრო ეკონომიკურად და ხანმოკლე დროის განმავლობაში ვაწარმოოთ ტრავმების მკურნალობა თუ, რასაკვირველია, თავიდანვე დიაგნოზი სწორად იქნება დასმული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა წამლითა და ფიზიკური თერაპიის მეთოდით სპორტულ დაზიანებათა (მიკროტრავმების ჩათვლით) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობა, ხშირად სასურველ ეფექტს არ იძლევა და ამავე დროს მას სპორტსმენები დიდი ხნით გამოჰყავს მწყობრიდან. ჩვენგან განსხვავებით, ბევრ ცივილიზებულ ქვეყნებში სპორტსმენთა ტრავმების მკურნალობა და რეაბილიტაცია ბევრად უფრო ეფექტურად და სწრაფად თუ ტარდება. ეს განპირობებულია იმით, რომ სამედიცინო ცენტრებში ძალიან მაღალ დონეზე დგას ზუსტი დიაგნოსცირება და სამედიცინო ღონისძიებების თანამედროვე დონეზე გატარება.

**ნინო დუმბაძე,**
ექიმი;
**რომანოზ სვანიშვილი,**
პროფესორი.

## საქართველო – უკრაინა

# მურთაზ ხურცილავამ სავარაუდო შემადგენლობა დაასახელა

ქართველ და უკრაინელ ფეხბურთელთა ამხანაგურ მატჩამდე ორი კვირა რჩება. ადრე საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატები გაგაცანით. ახლა ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრების სავარაუდო შემადგენლობას წარმოგიდგენთ. ***მეკარეები:*** დავით ხმელიძე (როსტსელმაში), მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ ბათიაშვილი (დინამო თბ). ***მცველები:*** მამუკა წერეთელი (უგუნდოდ), ედიკ საჯაია (ვიტ ჯორჯია), ოთარ ხიზანეიშვილი (სპარტაკი), ვალერი აბრამიძე (უგუნდოდ), დავით კვირკველია (კოლხეთი 1913), დავით დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია). ***ნახევარმცველები*** და ***თავდამსხმელები:*** ზურაბ ძამსაშვილი (ტორპედო), ლევან გვაზავა (ზიმბრუ), ლევან კორღალიძე (სკონტო), დავით სირაძე (ერზრუმსპორი), კლიმენტი წიტაიშვილი (ირონი, ისრაელი), ლაშა ჯაკობია (აალსტი), გია იმედაძე (ტორპედო), ოლეგ გველესიანი (დინამო ბთ), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), გიორგი მანწკავა (დინამო თბ), ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია).

მთავარი მწვრთნელის მართაზ ხურცილავას განმარტებით, გუნდის შემადგენლობაში მატჩამდე შეიძლება გარკვეული ცვლილებები მოხდეს. ამჟამად იგი საკონტროლო შეხვედრებს აკვირდება და მწვრთნელთა რჩევებით შეიძლება ამხანაგურ მატჩში 4-5 ახალი ფეხბურთელი გამოსცადოს. შეკრება ორდღიანი იქნება. 12-13 თებერვალს გუნდი ტრადიციულად სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდება. შეგახსენებთ, ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი „შევარდენის" სტადიონზე 14 თებერვალს, 12 საათზე დაიწყება. შეხვედრას ქართველი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი მერაბ მალაღურაძე იქნება, ასისტენტები — მამუკა ელიკაშვილი და ავთანდილ სამხარაძე. მეოთხე მსაჯია ავთანდილ შალამბერიძე, ინსპექტორი — ოთარ გუნთაძე.

უკრაინული 105-კაციანი დელეგაცია, რომელშიც 20 ჟურნალისტია, თბილისს 13 თებერვალს, 15 საათზე ესტუმრება. სლავთა ორივე ნაკრები სასტუმრო „მეტეხი პალასში" მოთავსდება. ჟურნალისტების მასპინძელი კი ვერაზე მდებარე სასტუმრო „კოლხი" იქნება. ეროვნულ ნაკრებთა მატჩს, რომელიც 14 თებერვალს, 15 საათზე ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება, აზერბაიჯანელი მსაჯები გაუძღვებიან — მთავარი მსაჯი — ხაგან მამედოვი, ასისტენტები — რამიზ ასადოვი და ელდარ ნაგიბეკოვი. მეოთხე მსაჯია სერგო კვარაცხელია, ინსპექტორი — ანატოლი მილჩენკო.

**საბა ლომინაძე**

## თბილისის „დინამო" ევროპის საფეხბურთო ელიტის წევრია

უეფამ თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე თავის შტაბბინაში, ნიონში მიიწვია ე.წ. „კლუბების პანელზე". ეს შეხვედრა ევროპული ფეხბურთის ელიტარული კლუბების თავისებური საკრებულოა, სადაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება, მათ შორის, რა თქმა უნდა, ფეხბურთელთა ტრანსფერები, რაც ასე აქტუალურია დღეს.

შვეიცარიაში 6-7 თებერვალს ევროპის 30 წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის 63 კლუბის ხელმძღვანელები და მწვრთნელები შეიკრიბებიან. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან შვიდი კლუბია მიწვეული. საქართველოდან ესაა თბილისის „დინამო", ბელორუსიიდან — მინსკის „დინამო", უკრაინიდან — კიევის „დინამო" და დონეცკის „შახტარი", რუსეთიდან — მოსკოვის გუნდები „სპარტაკი", „დინამო" და „ლოკომოტივი".

## 17-წლამდელთა ნაკრები — მიმოსვლით თუ მინიტურნირით?

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს, რომელსაც კობა ჟორჟიკაშვილი თავკაცობს, ბოსნიელ და ებრაელ თანატოლებთან 2001/02 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის. ამჟამად მხარეთა მოლაპარაკება მიმდინარეობს და სულ მალე დადგინდება თუ როგორი სისტემით (მიმოსვლით თუ მინიტურნირით) წარიმართება მატჩები. ქართველები და ებრაელები თანახმანი არიან ერთმანეთში მიმოსვლით (შინ და სტუმრად) ითამაშონ. ებრაელები 2002 წლის 5 თებერვალს შინ დაგვიხვდებიან, ხოლო ჩვენ მათ 12 მარტს ვუმასპინძლებთ. ბოსნიელებს კი სურვილი აქვთ მინიტურნირს, წლეულს, 1-3-5 ოქტომბერს უმასპინძლონ და ისრაელისა და საქართველოს ნაკრებები შინ მიიღონ. ქართველების სურვილი კი ასეთია — 2001 წლის 26 სექტემბერს ისრაელი მივიღოთ, 9 და 24 ოქტომბერს ორი გასვლითი მატჩი ვითამაშოთ — ჯერ ბოსნიაში, მერე ისრაელში და, ბოლოს, ბოსნიას 10 ნოემბერს ვუმასპინძლოთ. დაველოდოთ, ალბათ მეტოქე გუნდების მესვეურები ერთმანეთისთვის მისაღებ კალენდარს მალე შეიმუშავებენ.

## NORCIA CUP – ვეტერინარებმა დამაჯერებლად დაიწყეს

როგორც ვიტყობინებოდით, იტალიაში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი „Norcia Cup", რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შარშანდელი ვიცეჩემპიონი თბილისის „ვიტ-ჯორჯია". ორგანიზატორებმა წინასწარ ჯგუფებში გუნდები ასე გაანაწილეს:

**A ჯგუფი.** ვიტ ჯორჯია (საქართველო), სტიაუა (რუმინეთი), ასკოლი (იტალია), არაუ (შვეიცარია).

**B ჯგუფი.** ნაციონალი (რუმინეთი), პოლონია (პოლონეთი), ფუმუცინო (იტალია), ჟელეზნიჩარი (იუგოსლავია).

**C ჯგუფი.** უნივერსიტატეა (რუმინეთი), ტატაბანია (უნგრეთი), მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა), მარშეს პროვინციის ნაკრები (იტალია).

**D ჯგუფი.** რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი), არეცო (იტალია), პოლიტეხნიკი (რუმინეთი), ადრიატიკის პროვინციის ნაკრები (იტალია).

**E ჯგუფი.** არჯესი (დაკია, რუმინეთი), ლიტექსი (ლოვეცი, ბულგარეთი), როსარი (ბუქარესტი, რუმინეთი), „რაპ-უმბრო" (იტალია).

*პირველი ტურის შედეგები ასეთია:*

**A ჯგუფი.** ვიტ ჯორჯია – არაუ 15-1, სტიაუა – ასკოლი 8-0.

**B ჯგუფი.** პოლონია – ფუმუცინო 6-0, ნაციონალი – ჟელეზნიჩარი 2-1.

**C ჯგუფი.** მეტალურგი – მარშეს ნაკრები 5-0, უნივერსიტატეა – ტატაბანია 2-2.

**D ჯგუფი.** რაპიდი – არეცო 3-0, პოლიტეხნიკო – ადრიატიკის ნაკრები 7-0.

**E ჯგუფი.** არჯესი – რაპ-უმბრო 5-0, ლიტექსი – როსარი 1-0.

## მსაჯთა ხსოვნის ტურნირი

**გუშინ დაიწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტრადიციული მსაჯთა ხსოვნის ტურნირის მეორე გათამაშება.**

პირველ ტურში დიდი ანგარიშები დაფიქსირდა. აფხაზეთის მსაჯთა ნაკრებმა 8-2 მოუგო თბილისელ მსაჯთა მეორე გუნდს. ფეხბურთის ფედერაციის გუნდმა უფრო ახალგაზრდა მასმედიის წარმომადგენლებთან დათმო მატჩი 4-8. მეგრელებმა იმერლებს აჯობეს 4-1, თბილისის პირველმა გუნდმა ქართლელები დაამარცხა 6-3. **დღეს** მეორე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ქართლი — იმერეთი, სამეგრელო — თბილისი 1, აფხაზეთი — მასმედია, სფფ — თბილისი2.

## ფოტომატიანე

*ფოტო გადაღებულია 1954 წელს. ვინ არიან მასზე აღბეჭდილნი? მოგვწერეთ!*



## ქართველებს შოტლანდიელი უმსაჯებს, ქართველი კი უნგრელებს

ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრას, რომელიც 27 მარტს საქართველოსა და რუმინეთს შორის გაიმართება, შოტლანდიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება, მთავარი მსაჯი ალან ფრიილანდი იქნება.

ანალოგიურ მატჩს, თანაც ჩვენი უშუალო მეტოქეების შეხვედრას მერაბ მალაღურაძის თავკაცობით ქართველი მსაჯები მოემსახურებიან. 23 მარტს უნგრელი ახალგაზრდები ლიტველ თანატოლებს უმასპინძლებენ.

## პაოლო მალდინის კალაძე მოსწონს



პაოლო მალდინი მსოფლიო ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მცველი გუშინ ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ აღფრთოვანებულია კახი კალაძის ტალანტით. იმასაც კი ამბობენ, რომ სახელგანთქმული ვეტერანი ქართველი უნივერსალის ფანკლუბში შევიდაო.

ამასთან, მალდინი აფრთხილებს „მილანის" გულშემატკივრებს: „მე არაერთხელ მინახავს კალაძის თამაში კიევის კლუბში. იგი სულ 23 წლისაა, მაგრამ თამაშის დონით მსოფლიოს უმაღლეს სტანდარტებს პასუხობს. ეს ყმაწვილი ჩვენ უთუოდ დაგვეხმარება, მაგრამ აუცილებლად უნდა მივცეთ დრო ადაპტაციისთვის".

ამასვე ამბობს მილანელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი, როდესაც ჟურნალისტები შეეკითხნენ, ითამაშებს თუ არა ახალწვეული 4 თებერვალს „რეჯინას" წინააღმდეგ: „კალაძე მატჩის განაცხადში იქნება, მაგრამ სასტარტო შემადგენლობაში მისი თავიდანვე დაყენება ცოტა სარისკო საქმეა, სჯობს იგი ჯერ შეცვლაზე გამოვიყვანოთ".

*სურათზე: პაოლო მალდინი*

### ბავშვთა ფეხბურთი

## საბურთალოზე მოფბურთალი ბიჭები იზრდებიან

***საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩაზე 161-ე საშუალო სკოლაში ფეხბურთზე შეყვარებული ხალხის შეხმატკბილებულმა ურთიერთობამ და დაუღალავმა შრომამ საფეხბურთო სკოლას ჩაუყარა საფუძველი. დედაქალაქის ამ ძველ უბანს მაღლიანი ქართული სახელი ჰქვია „საბურთალო", სკოლის მესაძირკვლეებმაც ეს სახელი აირჩიეს და არც შემცდარან.***

საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" მინდორზე მუდამ ჟრიამულია, პატარები დიდებული სპორტული თამაშის ანბანს ეუფლებიან. საკმარისია სკოლის ხელმძღვანელთა და მწვრთნელთა სახელებს გაეცნო, რათა დარწმუნდე, რომ მათ მიერ დაწყებული საქმე უეჭველად გამოიღებს კეთილ ნაყოფს. ზოგიერთმა ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას მოიხვეჭა სახელი, ახლა კი ქართულ ფეხბურთს მომავალ თაობას უზრდის.

სკოლის მთავარ მწვრთნელთან ***გიორგი გეგუჩაძესთან*** საუბარი „საბურთალოს" დღევანდელობას და მომავალს შეეხო. ცნობილ და გამოცდილ სპეციალისტს ნამდვილად დაეჯერება. საფეხბურთო სკოლას შორს მიმავალი მიზნები აქვს.

— საფეხბურთო სკოლა „საბურთალო" 2000 წლის 29 ოქტომბერს, თბილისობის დღეებში გაიხსნა. პრეზიდენტი ***გიგა არევაძე*** ყოფილი ფეხბურთელია, სკოლის დირექტორია ***კახა ჰუმბურიძე,*** ტექნიკური დირექტორი ***ირაკლი არველაძეა,*** მთავარი მწვრთნელი მე გახლავართ. სკოლაში ბავშვების წვრთნა შვიდ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობს. 1987/88 წლებში დაბადებულებს ***კახა ამირიძე*** და ***ზურაბ გაბათაშვილი*** ავარჯიშებენ, 1989 წელს დაბადებულებს ***მალხაზ რაზმაძე*** და ***გუბაზ დოლიძე;*** 1990 წლიანთა გუნდს ***კობა მჟავანაძე*** და ***შალვა დავითაშვილი,*** 1991 წლიანებს ***კახა ამირიძე,*** 1992 წელს დაბადებულებს ***ზურაბ გაბათაშვილი,*** 1993 წლიანებს ***თემურ შალამბერიძე*** და ***დავით ხოლოლაშვილი,*** 1994 წლიანებს ***მამუკა ლვიტიძე. შალვა დავითაშვილი*** ასევე მეკარეების მწვრთნელია. დღესდღეობით ჩვენთან 155 ბავშვია. სკოლა 161-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ჯუმბერ ცერცვაძე) ტერიტორიაზე დაფუძნდა. ბატონ ***ჯუმბერ ცერცვაძესთან*** თავიდანვე საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. მისი და ირაკლი არევაძის მუშაობამ ფეხბურთი 161-ე საშუალო სკოლაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგნად აქცია. სკოლის არაერთი მოსწავლე საფეხბურთო სკოლაში, ფეხბურთშიც ოსტატდება. ამ ხნის მანძილზე გაკეთდა ერთი სავარჯიშო მოედანი, მარტში მწყობრში ჩადგება წიდიანი, ბალახის და ხელოვნურ საფარიანი მინდვრები. ორ თვეში დასრულდება გასახდელები, საშხაპეები, თეორიული მეცადინეობის, ექი-

იხ. მე-4 გვ.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო



ფეხბურთი ყველასათვის!

# კაბინეტიდან – მოედანზე!

„სალამი XXI საუკუნე". ასე ერქვა მინიფეხბურთელთა ტურნირს, რომელიც სპორტსაზოგადოება „შევარდენმა" სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირთან ერთად იანვრის ბოლო დეკადაში ჩაატარა. ტურნირში სამინისტროების, უწყებებისა და დეპარტამენტების თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ამ ღონისძიების ერთ-ერთი მიზანი კაბინეტებიდან ადამიანების სუფთა ჰაერზე გაყვანაც იყო, გუნდებში კი თვით ხელმძღვანელი მუშაკებიც თამაშობდნენ.

ფინალურ მატჩში კონტროლის პალატისა და რკინიგზის დეპარტამენტის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს რკინიგზელებმა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ფინანსთა სამინისტროს გუნდს პენალტების სერიით სძლია შემოსავლებისა და საგადასახადო სამინისტროს ნაკრებმა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებს გადაეცათ პრიზები: მეკარის — დ. ბერიძეს, მცველის — გ. ბრეგვაძეს, ნახევარმცველის — დ. ალექსიძეს, თავდამსხმელის — გ. ცაავას, ბომბარდირის — დ. კაციტაძეს. საუკეთესო გოლის პრიზი მიიღო გ. ინალიშვილმა, რჩეულ მსაჯად აღიარეს თ. ლაცაბიძე.

მსგავსი ტურნირები ტრადიციულად ჩატარდება.

**იროდი ბექაშვილი**

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები



# საბურთალოზე მობურთალი ბიჭები იზრდებიან

*(მესამე გვერდიდან)*

მისა და მწვრთნელთა ოთახები. მარტო ამით არ შემოვიფარგლებით. დიდ დილომში გამოგვეყო ტერიტორია, სადაც სტანდარტული მინდორი გაკეთდება, ამჟამად სადრენაჟო სამუშაოები მიმდინარეობს, იქვე იქნება წიდიანი მინდორიც, სტადიონისთვის საჭირო ყველა სათავსოთი.

თანდათან ბავშვთა კონტიგენტიც გაიზრდება. ახლაც იმდენი ბავშვია, რომ 1989/90 წლიანების ჯგუფი ორად გავყავით. ბავშვები, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. სკოლის გუნდებმა სულ სამ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და ყველგან გაიმარჯვეს. 1987/88 წლებში დაბადებულებმა თბილისი XXI საუკუნის ტურნირი მოიგეს. 1989 წლიანები დეკემბერში ბენდელას თასს დაეუფლნენ. 10 წლის ბიჭუნებმა ქუთაისში გამართულ შეჯიბრებაში იყოჩაღეს. წლეულს, შემოდგომიდან, შევეცდებით სფფ-ს ტურნირებში მივიღოთ მონაწილეობა. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სფფ-ს შესაბამის კომიტეტთან. ფედერაციამ ბურთები და ინვენტარი მოგვცა.

სამწვრთნელო პროცესს რაც შეეხება, ორშაბათს და პარასკევს მწვრთნელთა საბჭო ტარდება. იგი განიხილავს როგორც ორგანიზაციულ, ისე მეთოდურ საკითხებს. შემუშავდა წვრთნის ერთიანი მეთოდი, რაც გამოიხატება სკოლის გუნდების ხელწერაში, აისახება თამაშის მანერაში. ფეხბურთელის აღზრდა სწორად უნდა მოხდეს, მიმდინარეობს გეგმაზომიერი სამწვრთნელო პროცესი, რომელიც შემდგომში უფრო დაიხვეწება. დღეს ყველა გუნდი უზრუნველყოფილია საწვრთნელი და სათამაშო ფორმით, ბურთებით და სხვა საჭირო ინვენტარით.

გაზაფხულზე, როცა მინდვრები მზად გვექნება, სხვადასხვა ასაკში ბლიც-ტურნირის მოწყობას ვაპირებთ. საფეხბურთო სკოლებიდან საუკეთესო გუნდებს მოვიწვევთ. განვიხილავთ საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის საკითხს. გვინდა ასეთი შეჯიბრებები პროფესიული თვალსაზრისით გუნდს გამოადგეს და ფეხბურთელის აღზრდაში დაგვეხმაროს. პროექტშია რამდენიმე სპეცკლასის გახსნა.

„საბურთალოს" ჩინებული პერსპექტივა აქვს და, იმედია, დროთა განმავლობაში, აქ აღზრდილი არაერთი ფეხბურთელი ასახელებს სკოლას და ქართულ ფეხბურთს.

**საბა ლომინაძე**



ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

# „ოქროს მტაცებელი" ტოსტაო

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №5-7, 2001)*

## პირქუში ცა

ზემოხსენებულ „კრუზეიროსა" და „კორინტიანსის" მატჩში, რომელიც წვიმიან და პირქუშ დღეს ჩატარდა, თვალი დავიზიანე და იძულებული გავხდი 1973 წელს, 26 წლისა ფეხბურთს გამოვმშვიდობებოდი. ბურთისათვის ბრძოლაში ფეხი გამისრიალდა, დავეცი. დიტაომ მთელი ძალით დაარტყა ბურთს და წვიმისგან დამძიმებული ჭურვი პირდაპირ მარცხენა თვალში მომხვდა. ჩემი მეტოქე ჯენტლმენურად არ მოიქცა. სიმწრისაგან კინაღამ გონება დავკარგე, თამაშის გაგრძელება ვცადე, მაგრამ მალე დავტოვე მინდორი. ოტელში წაველი და შევეცადე დამეძინა, მაგრამ, უშედეგოდ. ბელუ-ორიზონტეში ექიმს მივაკითხე. დიაგნოზი: ბადურის დაშლა. მაშინვე მივხვდი, ეს სერიოზული რამაა. რაც ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს, რომ მას შეუძლია მხედველობა დამიქვეითოს, კარიერაშიც შემიშალოს ხელი.

რამდენიმე სპეციალისტმა გამსინჯა, დიაგნოზი დადასტურდა. მირჩიეს ჰიუსტონში ცნობილ ბრაზილიელ დასტაქართან, რომელსაც შეერთებულ შტატებში კარგა ხნის პრაქტიკა ჰქონდა, გამეკეთებინა ოპერაცია. გამოვითვალე: ოქტომბრის დასაწყისში ოპერაცია, ექვსი თვე აღსადგენად, აპრილში დავუბრუნდებოდი წვრთნას, და მშვიდობით მსოფლიო ჩემპიონატო, რომელიც ივნისში გაიმართებოდა. თითქმის ასე გამოვიდა.

სალდანიამ აღმითქვა, რომ ბოლო მომენტამდე დამიცდიდა. ჰოსპიტალში უამრავი წერილი, ღია ბარათი და ტელეგრამა მომდიოდა, უმთავრესად, უცნობი ხალხისაგან, მალე გამოჯანმრთელებას მისურვებდა ყველა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ექვსი თვის შემდეგ ჩავედი ჰიუსტონში, და ნება დამრთეს ფეხბურთს დავბრუნებოდი.

ის ექვსი თვე ეჭვებსა და განსჯაში გავატარე. ჩემთვის გადავწყვიტე წარუმატებლობის შემთხვევაში ექიმი გავმხდარიყავი. მაგრამ სპორტს ასე იოლად ვერ შეველეოდი, მით უმეტეს, რომ 1969 წლის შედეგების მიხედვით წლის საუკეთესო ათლეტის „ოქროს დელფინის" პრიზი მომანიჭეს.

გზად ჰიუსტონისკენ დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგი: შევიარე ლოს-ანჯელესში, იქიდან დისნეილენდიაში და თავი გამოვცადე ყველაზე სერიოზული გამოსაჯანსაღებელი ტესტით — ჩამოვსრიალდი „რუსულ გორკებზე". ნაოპერაციებ თვალში სისხლი ჩამექცა და დაბნეული დავბრუნდი. მაგრამ ექიმმა მითხრა, რომ ვერ ხედავს წინააღმდეგ ჩვენებას კარიერის გასაგრძელებლად, სიწითლე მხოლოდ გარეგანი პრობლემააო.

## დაბრუნება

ბრძოლა დაბრუნებისათვის გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი. მქონდა გულგატეხილობა, დამჩემდა უძილობა, დეპრესია. ვარჯიშზე გავურბოდი დიდ დატვირთვას, რითაც საეჭვო ხდებოდა ჩემი ფიზიკური მზადყოფნა. თავით დარტყმასაც გავურბოდი. დასაწყისში ჩვეულებრივზე მსუბუქი ბურთით ვმეცადინეობდი. მარტო სალდანიას შეეძლო მოთმინება გამოეჩინა, ძალიან ფრთხილად მიმატებდა დატვირთვას. დამამშვიდებელ საუბრებს მიტარებდა, მარწმუნებდა, რომ კვლავ აღვიდგენდი საჭირო კონდიციას. თავადაც ძალზე მოწადინებული ვიყავი დავრწმუნებულიყავ ამაში, ვცხოვრობდი ოცნებით — გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი, სულ მალე ეს აბსოლუტურ რეალობად მეჩვენებოდა.

მოულოდნელად, სალდანია მარიო ზაგალომ შეცვალა, და ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ, მე თვალის პრობლემის გარდა, აუცილებლად უნდა დამემტკიცებინა ზაგალოსათვის, რომ გუნდს ვჭირდები. ვითარებას ართულებდა ის, რომ ჯერ კიდევ შორს ვიყავი ჩვეული სპორტული ფორმისაგან და მთლად ნათლად ვერ წარმომედგინა მისი ტაქტიკური ჩანაფიქრი. არსებითაც მე არ ვიყავი **Artilheiro**, პირველი პოზიცია რომ უკავია, არც წმინდა წყლის „დამტენი".

მაგრამ არ იყო გამორიცხული, რომ სწორედ ამან შეაჩერებინა არჩევანი ჩემზე ზაგალოს. იგი, ალბათ ჩემი თვისების მქონე მოთამაშეს ეძებდა: ცენტრფორვარდს, რომელიც სიღრმიდან იწყებს შეტევას, მეტოქის ნახევარზე მოთამაშის დამაკავშირებელ წინ წაწეულს, თავადვე შეეძლოს წერტილის დასმა.

ერთი-ორი საკონტროლო თამაში ჩავატარე სათადარიგო შემადგენლობაში, შემდეგ შევცვალე გუნდის ძირითადი წევრი — ავსტრიელებთან მატჩში მოსკოვში გამგზავრების წინ. მანაუს შტატში შერეული შემადგენლობით დავამარცხეთ ადგილობრივი ნაკრები დარიოს ოთხი გოლის წყალობით და თითოეულში ვუწევდი ასისტენტობას. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, უკვე მექსიკაში ზაგალომ ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. ვერ ვი-



*1966 წ. ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ქვედა რიგში მარჯვენიდან მესამე — ტოსტაო*

ტყვი, რომ ვბრწყინავდი, მაგრამ აქ სულ სხვა თამაში იყო ბურთის მახვილგონიერი გადაცემებითა და კარისკენ შემართებით, რასაც ვესატყვისებოდი და გოლიც გავიტანე. დასასრულ, ზაგალოს მოწონება დავიმსახურე. თერთმეტ ფეხბურთელში მოხვედრამ რწმენა განმიმტკიცა.

არა მგონია, რომ ზაგალოსთან დაახლოებული ყველა ის გამოცდილი ფეხბურთელები — პელე, ჟერსონი, კარლოს ალბერტო რამდენადმე მხარს უჭერდნენ ჩემს კანდიდატურას. თუმცაღა, დარწმუნებული ვარ, ისინი ეთანხმებოდნენ, რომ ჩემმა მომონაწილეობამ თამაშში მათ კომფორტი შეუქმნა, რასაც არ შეიძლებოდა ზაგალოზე ზემოქმედება არ მოეხდინა.

ზაგალომ, უთუოდ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1970 წელს მექსიკაში მსოფლიოს თასის მოპოვებაში. იმდროინდელი მწვრთნელებისაგან განსხვავებით, მისთვის ჩვეული პუნქტუალობით ყოველ წვრილმანზე ზრუნავდა, მოჭადრაკესავით ითვლიდა ვარიანტებს და მოთამაშეებისაგან ითხოვდა ზედმიწევნით დაეცვათ სათამაშო ტაქტიკური დისციპლინა.

## როგორ იქმნება გოლი?

ჩვენი გზა მსოფლიო ჩემპიონატში მექსიკაში ჩეხოსლოვაკიასთან მატჩით დაიწყო. გოლი პირველად ჩვენ გავუშვით, მაგრამ ჩინებულად ვითამაშეთ და საბოლოოდ გავიმარჯვეთ 4-1. მე გამთამაშებლად განმაწესეს. ეს დიდად სახარბიელო ფუნქცია არაა, მაგრამ საჭიროა: პელე და ჟაირზინიო მინდვრის სიღრმიდან იწყებდნენ შეტევას, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, სამი გოლი გაიტანეს. ალბათ, ჩვენი მწვრთნელების გეგმაში სიფრთხილე სჭარბობდა.

ინგლისელებთან თამაში ჩვენთვის ყოველთვის ძალიან ძნელად წარიმართებოდა, იმიტომ, რომ მჭიდრო „მეურვეობას" მიმართავდნენ. ასეთ ფარულ თამაშში შესაძლებლობაც ჰქონდათ წაეყვანათ ანგარიში. მაგრამ ყველაფერი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის დაწყებიდან 30 წუთის მერე რომ გავიტანეთ. არ შევცდები თუ მას მნიშვნელობისა და შესრულების თვალსაზრისით ფრიად საუცხოოს ვუწოდებ. სათადარიგოთა სკამისაკენ გავიხედე და შევნიშნე, რომ რობერტო ემზადება ჩემს შესაცვლელად. გულშემოყრილმა ბურთი ხელთ ვიგდე, მაგრამ დავკარგე, კვლავ დავეუფლე, ფინტი წამოვიწყე და დასარტყმელი პოზიცია დავკარგე. ყველა მოთამაშემ კარგად იცის, თუ რომელიმეს ბურთი ფეხებში აებლანდება, მოპირდაპირე მხარეს თავისუფალი პარტნიორი ელის ჩაწოდებას და იგი წინ მიიწევს. და მე, უყოყმანოდ, არც კი შემიხედია, ბურთი მეორე ფლანგზე გავგზავნე. იგი ზუსტად პელეს ფეხებში დაეშვა, მან კი ჟაირზინიოს გაუგორა. გოლი! ერთი წუთის შემდეგ რობერტომ მაინც შემცვალა.

როგორ იქმნება გოლი? არ ვიცი. უიმპროვიზაციოდ არ იქმნება დიდი შემოქმედება. ასე ხდება და გათავდა. მაგრამ თამაშის შემდეგ კომბინაციის ყველა დეტალი რამდენჯერმე რომ ვნახე შენელებული ტემპით, კმაყოფილება დამეუფლა: ტყუილად არ შევუყვანივარ ძირითად შემადგენლობაში. ალბათ ზაგალომაც ასე დაასკვნა. დანარჩენი მატჩები შეუცვლელად ჩავატარე.

## დამაჯერებელი რევანში

მეოთხედფინალში დავამარცხეთ პერუელები 4-2 და ტაბლოზე ორჯერ აღინიშნა ჩემი გვარი. ჯერ ძალიან მახვილი კუთხიდან გავიტანე გოლი დაბალ კუთხეში ძელსა და მეკარეს შორის. მეორე — პელეს პასის შედეგად, თავით უკვე მეკარის მოედნიდან, სადაც მთელი სისწრაფით შევვარდი.

მომდევნო თამაშის მოლოდინში, ურუგვაისთან მთელი პრესა წერდა მხოლოდ 1950 წელზე, როცა ბრაზილიამ ფინალური მატჩი წააგო ურუგვაელებთან. მე კი მშვიდად ვიყავი. ყველაფერი გამოგვდიოდა და წარსულს გამეორება არ ეწერა.

და მაინც, ურუგვაელები ახერხებდნენ თამაშის ტემპის დაგდებას, შეძლეს მჭიდროდ „ავეყვანეთ" და ანგარიში გახსნეს. ნუთუ ოცი წლის წინანდელი საშინელება გამეორდება? შველად ჩვენი მოთამაშეების გადაადგილება მოგვევლინა. ჟერსონი და კლოდუალდო ნიადაგ ადგილების ცვლაში იყვნენ, მე მინდვრის კიდისაკენ მივდიოდი. პირველი ტაიმის მიწურულს კლოდოალდომ ფლანგზე გადმომიგდო ბურთი და საჯარიმოსკენ დაიძრა, ამით ბურთის დაბრუნებას ელოდა. პაუზა ვარჩიე, რომ საჯარიმოში შესულიყო და იმ ფეხზე ჩავაწოდე ბურთი, რომელიც დასარტყმელად მზად ჰქონდა. ორ დამხვდურ მცველებს შორის გააძვრინა ბურთი და დასასვენებლად თანაბრად წავედით (1-1).

გასახდელში ზაგალომ ქვა ქვაზე არ დატოვა. გვამხილა სიზარმაცეში, სიმხდალეში, გვითხრა, რომ მინდორზე ვერ ხედავს ნამდვილ მამაკაცს. ალბათ, ამან უშველა საქმეს. თამაში აეწყო. ჟაირზინიომ მეორე გოლი შეაგდო, რიველინომ — მესამე, პელე ახლოს იყო წერტილი დაესვა განადგურებისათვის, დრიბლინგით გააოგნა თვით მეკარე. ბურთი მე ჩავაწოდე. და საერთოდ, გოლი არ გამიტანია, მაგრამ მიმაჩნია, იმ მატჩში ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო ჩავატარე, ჩემს კარიერაში.

*(გაგრძელება იქნება)*

ფეხბურთი რეგიონებში • წალენჯიხა

# გოგი კალანდიას პრიზზე 24 გუნდი იბრძოდა

წალენჯიხა თანდათან იშუშებს სამეგრელოში 90-იანი წლების დასაწყისში დატრიალებული ამბებით მიყენებულ ჭრილობებს და არც იმ ადამიანებს ივიწყებენ, ვინც ძნელბედობის მიუხედავად, ვაჟკაცურად იდგა ხალხის სამსახურში. ერთი მათგანი იყო ყველასათვის საყვარელი პიროვნება, რაიონის პოლიციის უფროსი გოგი კალანდია, რომლის ხსოვნის საფეხბურთო ტურნირი შარშან, წლის ბოლოს ჩატარდა 24 გუნდის მონაწილეობით.

მთავარი პრიზი წილად ხვდა წალენჯიხის მეორე საშუალო სკოლის გუნდს, მეორენი იყვნენ ზღვაიას საშუალო სკოლელები, მესამე-მეოთხე ადგილები კი წალენჯიხის №1, და ზღვაიას საშუალო სკოლების გუნდებმა გაიყვეს,. წამახალისებელი პრიზი მიიღო აგრეთვე საერო ლიცეუმის ახალბედა გუნდმა. საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს მანუჩარ ლაშხია, საუკეთესო მცველად — ირაკლი კვარაცხელია, საუკეთესო მეკარედ — დათო არდია (სამივე — №2 საშ. სკ.). ყველაზე უმცროსი მეკარის პრიზი გადაეცა ირაკლი კალანდიას. გუნდებისა და ფეხბურთელების დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ რაიონის გამგეობის და საკრებულოს სპორტული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ფირმების ხელმძღვანელები.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



## „ბირმინგემი" ფინალისკენ 38 წელიწადი მიდიოდა

დიახ, 38 წელი დასჭირდა ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ბირმინგემ სიტის", რათა ინგლისის ლიგის თასის ფინალში გასულიყო. ამისათვის მან შეუძლებელი შეძლო — 4 გოლი გაუტანა პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერს — „იფსვიჩს", რომელიც უწინ „ბირმინგემთან" ერთად ასპარეზობდა პირველ დივიზიონში. პირველი მატჩი „ბირმინგემმა" 0-1 დათმო, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში შეძლო გაემარჯვა 2-1. ინგლისში მოქმედი წესებით დაინიშნა დამატებითი დრო, რომელშიც ბირმინგემელებმა ორი გოლი გაიტანეს. ამრიგად, ორი მატჩის ჯამში მათ 4-2 გაიმარჯვეს. ახლა, 25 თებერვალს ინგლისის თასის ფინალში, რომელიც კარდიფში გაიმართება, „ბირმინგემი" „ლივერპულს" შეხვდება.

## ლონდონელი ბუკმეკერები: „მანიუზე" ფსონებს აღარ ვიღებთ!

მას შემდეგ რაც ინგლისის პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავის კონკურენტებს 15 ქულით გაუსწრო, ლონდონელი ბუკმეკერები ჩემპიონატში ამ გუნდის გამარჯვებაზე ფსონებს აღარ იღებენ.

ახლა ტოტალიზატორებმა მთავარი ყურადღება გაამახვილეს იმ გუნდებზე, რომლებიც ლიგიდან ვარდებიან. „ბრედფორდის" პირველ დივიზიონში გადასვლაზე ფსონები მიიღება 25-1-ზე, „მანჩესტერ სიტი": 9-4, „ქოვენთრი": 5-2, „დერბი": 11-10, „ევერტონი": 2-9, „მიდლსბრო": 2-11.

## „ვალენსიამ" ჯიბეზე ხელი გაიკრა და... აიმარი იყიდა

გუშინ „ვალენსიას" ისტორიაში არნახული ამბავი მოხდა — აქამდე ასეთი თანხა აქაური კლუბის მესვეურებს არავისთვის გადაუხდიათ და აი, არგენტინულ „რივერ პლეიტს" კი გადაუხადეს — 20 მილიონი დოლარი. ვინ არის ის ფეხბურთელი, რომელმაც ასე შეამსუბუქა ესპანური კლუბის ხაზინა? დაიმახსოვრეთ მისი გვარი — აიმარი. იგი ნახევარმცველია.




პაბლო აიმარი პრეზენტაციაზე

კონტრაქტის ვადა კი შვიდნახევარი წელია. ესე იგი, როცა ხელშეკრულება „ვალენსიასთან" დაუმთავრდება, იგი 29 წლისაც არ იქნება.

არგენტინელის პრეზენტაციაზე, რომელიც გუნდის სტადიონზე — „მესტალიუზე" გაიმართა, ორი ათასზე მეტი გულშემატკივარი მივიდა.

ყველასათვის მოულოდნელად აიმარის ტრანსფერს კომენტარი გაუკეთა სახელგანთქმულმა დიეგო მარადონამ. როგორც ცნობილია, იგი „ბოკა ხუნიორსს" გულშემატკივრობს, „რივერ პლეიტი" კი ამ გუნდის მთავარი კონკურენტია. მიუხედავად ამისა, მარადონამ თქვა: „ყოჩაღ „ვალენსია"! ამ კლუბმა არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელი შეიძინა".

## „აინტრახტს" ტოპმიულერი გაწვრთნის?

„ლელოს" წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ ფრანკფურტის „აინტრახტის" კლუბის მეპატრონეებმა გუნდის სუსტი თამაშის გამო თანამდებობიდან გაანთავისუფლეს მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგატი. იტყობინებიან, რომ ამჟამად ამ პოსტზე განიხილება მეორე ბუნდესლიგის კლუბ „საარბრიუკენის" მწვრთნელის თომას ტოპმიულერის კანდიდატურა. გარდა ამისა, გერმანელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ ცნობილი სპეციალისტების ვინიფრედ შაეფერის და ოტო რეხაგელის კანდიდატურებს.

## დამყარებულია ბურთის ფრენის სისწრაფის რეკორდი

სანაძლეოს მოყვარულებმა დაიმახსოვრეთ — ესპანეთის „ლევანტეს" ნახევარმცველმა რიკარდო ლიმამ რეკორდი დაამყარა — ბრაზილიელი ფეხბურთელის მიერ დარტყმულმა ბურთმა (ეს ამბავი ესპანეთის მეორე დივიზიონის მატჩში მოხდა) 126 კმ/სთ სისწრაფით „იფრინა". წინა მიღწევა ასევე ბრაზილიელ ფეხბურთელს რობერტო კარლოსს ეკუთვნოდა, რომელიც მადრიდის „რეალში" გამოდის — მისი დარტყმული ბურთის სისწრაფე 122 კმ/სთ უდრიდა.

## უილიამ ჰილის ბუკმეკერებმა ერთ დღეში 150 ათასი გირვანქა სტერლინგის შემოსავალი ნახეს

**გულშემატკივრებმა იციან, რომ ამ დღეებში ინგლისის თასის გათამაშებაში სენსაცია მოხდა — „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ვესტ ჰემთან" წააგო 0-1. იტყობინებიან, რომ ამით ლონდონის „უილიამ ჰილის" ბუკმეკერულმა კანტორამ დიდი შემოსავალი ნახა — ერთ დღეში ამ თანხამ 150 ათას გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. „ვესტ ჰემზე" ფსონები მიიღებოდა როგორც ათი ერთთან. ყველაზე დიდი თანხა, რომელიც მანჩესტერზე დაიდო 1000 დოლარს უდრიდა.**

## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 2010 წლის მონდიალის მასპინძლობის №1 კანდიდატი

აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო: ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ინტერვიუ მისცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტელევიზიას, სადაც განაცხადა, რომ ლოგიკური იქნებოდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდეს ამ ქვეყანაში. გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ბლატერმა აქამდეც დაუჭირა მხარი სამხრეთაფრიკელებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მოსაპოვებლად, მაგრამ ამაოდ. კენჭისყრის გადამწყვეტ ტურში გერმანიამ ერთი ხმით მეტი მიიღო, ვიდრე შავი კონტინენტის ქვეყანამ.

● **პოლ გასქოინი, ახლა ლივერპულის „ევერტონის" ფეხბურთელია, ზაფხულში კი ავსტრალიაში გამოდიოდა, ბარძაყის ოპერაცია გაუკეთეს და შესვენების შემდეგ თებერვლის შუა რიცხვებში ვარჯიშს დაიწყებს.**

● **როგორც** ცნობილია, არც ისე დიდი ხნის წინათ, ცნობილი სპეციალისტი მიროსლავ ბლაჟევიჩი გადადგა ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. ეს მან იმით ახსნა, რომ ზღუდავდნენ და თავისუფალი მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ.

ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა დაეთმო. ახლა მიროსლავ ბლაჟევიჩთან ახალი ხელშეკრულებაა გაფორმებული.

## „ანდერლეხტმა" მეკარე დაკარგა

**ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე ბელგიის „ანდერლეხტმა" ამ სეზონში ძირითადი მეკარე „დაკარგა": ფილიპ დე ვილდემ ფეხი იღრძო და მინიმუმ ორი თვე დაისვენებს.**

● **შტეფან ეფენბერგს ჰკითხეს, როგორ უყურებს იგი იმას, რომ მიუნხენის „ბაიერნი" სულ უფრო და უფრო მეტ მატჩს თამაშობს და ფეხბურთელები ველარც კი ნახულობენ თავიანთი ოჯახის წევრებს.**

**— ყველაზე საშინელი ჩემთვის, იცით, რა არის? საკუთარ ოჯახში რომ მივალ და პატარა ბიჭუნა მეტყვის: „ვინა ხარ, რისთვის მოხვედიო!"**

## გვეკითხებიან. ვპასუხობთ

### „ლელოს" რედაქციას!

ლეგენდად იქცა ამბავი, თითქოს რომელიღაც ფეხბურთელმა ისე ძლიერად დაარტყა ბურთი, „კარში მდგარი მაიმუნი" მოკლაო. ზოგი ამბობდა, ეს ფეხბურთელი ბუტუსოვი იყო, ზოგიც — პაიჭაძეო. რამდენად შეესაბამება ყოველივე სიმართლეს?

*პატივისცემით, სოსო კილაძე,*
*ქ. ქუთაისი*

## პონედელნიკი და მისი „მსხვერპლი"



დიახ, ეს ლეგენდა დიდხანს დადიოდა ხალხში და, სხვათა შორის, იგი ნამდვილ ფაქტს ემყარებოდა.

1961 წელს როსტოვის არმიელთა გუნდი ამხანაგური მატჩის გასამართავად აფრიკის ქვეყანა მალიში გაემგზავრა. ბამაკოში როსტოველები ეთამაშნენ ეროვნულ ნაკრებს.

მატჩის დაწყებამდე მალის ნაკრების მეკარე მინდორზე პატარა მაიმუნთან ერთად გამოვიდა (თურმე, ამ მოთამაშეს იგი ყველგან თილისმად დაჰყავდა). მაიმუნი პატრონმა ხარიხაზე შემოსვა. და აი, დაიწყო თამაში და რამდენიმე წუთში ბურთი მიუვიდა როსტოველთა გოლეადორს ვიქტორ პონედელნიკს. მან მთელი ძალით დაარტყა და... პირდაპირ მაიმუნს მოახვედრა ბურთი. საბრალო ცხოველი მოწყვეტით დაენარცხა მიწაზე.

როგორ თუ ჩვენი თილისმა მოკალითო. გაავებული ბრბო სტუმარ ფეხბურთელებს გამოუდგა — მათ ძლივს შეასწრეს გასახდელში. საბედნიეროდ, სტუმრებმა მალე შეიტყვეს, რომ მაიმუნი მოასულიერეს და მათ უფლება მისცეს სასტუმროში წასულიყვნენ.

William HILL

### ინგლისის პრემიერლიგა

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| ბრედფორდი — ასტონ ვილა | 2,62 | 3,25 | 2,30 |
| ქოვენთრი — არსენალი | 4,00 | 3,40 | 1,72 |
| დერბი — სანდერლენდი | 2,75 | 3,20 | 2,25 |
| იფსვიჩი — ლიდსი | 2,25 | 3,20 | 2,75 |
| ლესტერი — ჩელსი | 2,62 | 3,20 | 2,37 |
| ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,50 | 3,80 | 5.00 |
| მანჩესტ.იუნაიტ. — ევერტონი | 1,22 | 4,50 | 12,0 |
| მიდლსბრო — მანჩ. სიტი | 1,66 | 3,40 | 4,33 |
| ტოტენჰემი — ჩარლტონი | 1,66 | 3,40 | 4,33 |
| *4 თებერვალი* | | | |
| ნიუკასლი — საუთჰემპტონი | 1,57 | 3,50 | 5,00 |

### ინგლისის პირველი დივიზიონი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| ბირმინგემი — ნორვიჩი | 1,50 | 3,80 | 5,00 |
| ბლექბერნი — ბარნსლი | 1,36 | 3,75 | 8,00 |
| კრისტალ პალ. — ვესტ ბრომ. | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ქრიუ — ბარნლი | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ქპრ — ბოლტონი | 3,75 | 3,30 | 1,80 |
| გრიმსბი — უიმბლდონი | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| ჰადფორ. — ნოტინ ფორესტი | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| პორტსმუთი — პრესტონი | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| შეფილდ უენს.— უოთსფორდი | 2,80 | 3,20 | 2,20 |
| სტოკპორტი — ტრანმერი | 1,90 | 3,40 | 3,25 |
| ვულვზი — ჯილინგემი | 1,83 | 3,40 | 3,50 |
| *4 თებერვალი* | | | |
| ფულჰემი — შეფილდ იუნ. | 1,36 | 3,75 | 8.00 |

### შოტლანდიის პრემიერლიგა

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,16 | 5,50 | 12,0 |
| აბერდინი — ჰიბერნიანი | 3,00 | 3,20 | 2,10 |
| დანდი იუნ. — სტ. ჯონსტონი | 2,37 | 3,20 | 2,62 |
| კილმარნოკი — მოზერველი | 1,66 | 3,40 | 4,33 |
| სტ. მირენი — დანდი | 2,87 | 3,30 | 2,10 |
| *4 თებერვალი* | | | |
| ჰართსი — სელტიკი | 5,00 | 3,60 | 1,53 |

### იტალია. სერია A

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| პერუჯა — ვერონა | 1,72 | 2,90 | 5,00 |
| ატლანტა — იუვენტუსი | 3,10 | 2,87 | 2,20 |
| *4 თებერვალი* | | | |
| მილანი — რეჯინა | 1,28 | 4,50 | 8,00 |
| ბარი — ბრეშია | 1,90 | 2,87 | 4,00 |
| ბოლონია — ინტერი | 2,30 | 2,80 | 3,00 |
| ლაციო — ლეჩე | 1,28 | 4,50 | 8,00 |
| პარმა — რომა | 2,40 | 2,80 | 2,87 |
| ვიჩენცა — უდინეზე | 2,25 | 2,87 | 3,00 |
| ნაპოლი — ფიორენტინა | 2,75 | 2,80 | 2,50 |

### ესპანეთის პრიმერადივიზიონი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| ბარსელონა — ბილბაო | 1,28 | 4,50 | 8,00 |
| *4 თებერვალი* | | | |
| დეპორტივო — სანტანდერი | 1,25 | 4,50 | 10.00 |
| ნუმანსია — ვალიადოლიდი | 2,20 | 3,00 | 3,00 |
| ოსასუნა — ესპანიოლი | 2,30 | 3,10 | 2,75 |
| სოსიედადი — სელტა | 2,20 | 3,00 | 3,00 |
| რეალი — მალაგა | 1,25 | 4,50 | 10,00 |
| ვილიარეალი — ალავესი | 1,83 | 3,30 | 3,60 |
| სარაგოსა — რაიო | 2,00 | 3,00 | 3,40 |
| ლას პალმასი — ოვიედო | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| მალიორკა — ვალენსია | 2,25 | 3,00 | 2,87 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *2 თებერვალი* | | | |
| მიუნხენი — დორტმუნდი | 2,40 | 3,25 | 2,50 |
| *3 თებერვალი* | | | |
| ბოხუმი — ჰერტა | 2,50 | 3,25 | 2,40 |
| კოტბუსი — შალკე | 3,00 | 3,20 | 2,10 |
| კიოლნი — ფრაიბურგი | 1,72 | 3,40 | 4,00 |
| ვერდერი — ჰამბურგი | 1,90 | 3,10 | 3,60 |
| ვოლფსბურგი — ბაიერნი | 3,00 | 3,00 | 2,20 |
| შტუტგარტი — კაიზერსლ. | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| *4 თებერვალი* | | | |
| უნდერჰახინგი — ბაიერი | 3,00 | 3,00 | 2,20 |
| ჰანზა — ეინტრახტი | 1,80 | 3,40 | 3,60 |

### საფრანგეთის პირველი დივიზიონი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| ნანტი — პსჟ | 1,83 | 3,20 | 3,75 |
| ბასტია — სედანი | 1,65 | 3,25 | 4,50 |
| გენგამი — ოლიმპიკი | 2,37 | 3,00 | 2,70 |
| მარსელი — ოსერი | 1,75 | 3,25 | 4,00 |
| მონაკო — მეცი | 1,61 | 3,10 | 5,50 |
| სენტ-ეტიენი — სტრასბური | 1,60 | 3,40 | 4,80 |
| ტულუზა — ბორდო | 2,62 | 3,10 | 2,37 |
| ტრუა — რენი | 1,85 | 3,10 | 3,75 |
| *4 თებერვალი* | | | |
| ლანსი — ლილი | 2,10 | 3,10 | 3,10 |

### ჰოლანდია

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *3 თებერვალი* | | | |
| ტვენტე — ტილბურგი | 2,20 | 3,40 | 2,60 |
| ჰერენვენი — უტრეხტი | 2,00 | 3,30 | 3,00 |
| როზენდაალი — ვალვაიკი | 2,60 | 3,30 | 2,25 |
| *4 თებერვალი* | | | |
| ალკმაარი — ფეიენოორდი | 3,40 | 3,50 | 1,80 |
| ვიტესი — ნეიმეგენი | 1,50 | 3,75 | 5,00 |
| სპარტა — პსვ ეინდჰოვენი | 5,50 | 3,75 | 1,45 |

### ბელგია

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| *2 თებერვალი* | | | |
| შარლერუა — ანდერლეხტი | 3,40 | 3,50 | 1,80 |
| *3 თებერვალი* | | | |
| ბევერენი — ლიერსი | 2,20 | 3,40 | 2,60 |
| ვესტერლო — გენკი | 1,60 | 3,65 | 4,20 |
| სენტ.ტრ. — გენტი | 2,85 | 3,50 | 2,00 |
| მეჰელენი — ლოკერენი | 2,35 | 3,50 | 2,35 |
| *4 თებერვალი* | | | |
| ბრიუგე — სტანდარდი | 1,61 | 3,60 | 4,33 |
| ჰარელბეკე — ანტვერპენი | 2,10 | 3,40 | 2,75 |
| აალსტი — მუსკრონი | 2,85 | 3,50 | 2,00 |

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ფიგუ განებივრდება

**მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ (მადრიდის „რეალი"), ამ მოკლე ხანში, ეტყობა, ძალიან განებივრდება. მან ახალი ვილა იყიდა 5 მილიონ დოლარად, სადაც 8 საბაზანო ოთახი და 2 საცურაო აუზია!**

### კანადას სურს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩატარება

**კანადას სურს პრეტენზია განაცხადოს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩატარებაზე. „ჩვენ გავაკეთებთ სათანადო განაცხადს გაგზავნას, თუმცა წინასწარ ვიცით, რომ მისი ჩატარების უფლება თითქოს აფრიკულ ქვეყანას უნდა მიეცეს" — განაცხადა კანადის ფეხბურთის ფედერაციის სპიკერმა მორგან კვარიმ.**

**ამავე დროს კვარიმ ისიც თქვა, რომ კანადაში ჯერ არ არსებობს ასეთი დონის ტურნირის ჩასატარებლად საჭირო ინფრასტრუქტურა. ქვეყანაში მხოლოდ 4 სათანადო სტადიონია.**

**— სტადიონები ჩვენი სუსტი მხარეა, — განაცხადა კვარიმ ,— მაგრამ არ გავაგზავნით განაცხადს, სანამ ამ ნაკლს არ გამოვასწორებთ.**

**საინტერესოა, რომ კანადის ნაკრები აქამდე მხოლოდ ერთხელ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. 1986 წელს მან სამი მატჩი ითამაშა და სამივე მშრალი ანგარიშით წააგო.**

### ზიდანი ბოლომდე „იუვენტუსში" დარჩება

როგორც 28 წლის ზინედინ ზიდანმა განაცხადა, ... ამჟამინდელი ... კონტრაქტი ტურინის „იუვენტუსთან" 2005 წლამდე გრძელდება, მაგრამ შემდეგაც — კარიერის ბოლომდე, იგი აპირებს „ბებერი ქალბატონის" რიგებში დარჩენას. საინტერესოა, რომ ასევე ფიქრობს „იუვენტუსის" ცნობილი თავდამსხმელი ფილიპო ინძაგიც.

### „ლიონი" გაძლიერდება

**ჩემპიონთა ლიგის მონაწილე ფრანგული „ლიონი" ამ მოკლე ხანში სერიოზულ დამხმარე ძალებს მიიღებს. იგი აფორმებს ხელშეკრულებას ბრაზილიელ ცენტრალურ მცველთან, 24 წლის კლაუდიო კასაპასა (იგი „ატლეტიკო მინეიროში" გამოდის) და ცნობილ ფრანგ ფორვარდ 30 წლის პატრის ლოკოსთან („მონპელიეში" გამოდიოდა).**

### 3,5 მილიონი ერთწლიანი კონტრაქტისათვის

სტამბოლის „გალათასარაის" ხელმძღვანელობამ ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა 35 წლის გეორგე ჰაჯის, რომელიც ამისთვის 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს. აგრე ჰაჯი აცხადებდა, რომ 2001 წელს აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას, რათა კლუბ „ფარულს" ჩასდგომოდა სათავეში.

### იუგოსლავიის ნაკრების წარმატება

**იუგოსლავიის ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც Millenium Cup-ი ეწოდება. ნახევარფინალში მან ანგარიშით 1-0 მოუგო იაპონიის ნაკრებს, ხოლო ფინალში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გუნდს — 2-0 და დაეუფლა თასს, რომლის გათამაშებაში 13 ნაკრები მონაწილეობდა.**

### უკრაინის ნაკრები – კიევის ცსკა 1–1

უკრაინის ნაკრებმა დაიწყო ამხანაგური მატჩების სერიის ჩატარება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის უკეთ მომზადების მიზნით. იგი იმ მოთამაშეების გარეშე გამოდიოდა, რომლებიც საზღვარგარეთის კლუბებში გამოდიან და ვერაფერს გახდა უკრაინის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ კიევის ცსკას-თან 1-1. გოლი ნაკრების მხრიდან მცველმა სნიტკომ გაიტანა.

### ლიუკ ნილისი აღარ ითამაშებს

**გამოჩენილმა ბელგიელმა თავდამსხმელმა, 33 წლის ლიუკ ნილისმა გადაწყვიტა თავი დაანებოს თამაშს. ამის მიზეზი გახდა მეტად სერიოზული ტრავმა (მუხლის ორმაგი გადატეხვა), რომელიც მან „ასტონ ვილას" შემადგენლობაში მიიღო.**

**ამის შემდეგ ნილისის საბოლოო გამოჯანმრთელება აღარ მოხერხდა.**

## ოტმარს ნაკრებში მუშაობა არ სურს

მაშ ასე, საფუძველი გამოეცალა კიდევ ერთ ჭორს, თითქოსდა „ბაიერნის" თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს რუდი ფიოლერს შეცვლისო. მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელმა თავის კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება განიზრახა: „ფრანც ბეკენბაუერმა მზადყოფნა გამოთქვა ჩემთან კონტრაქტი გააგრძელოს. ჩვენ ამ დღეებში ერთმანეთს შევხვდებით და დარწმუნებული ვარ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ. თავად მე არ მიყვარს სამსახურის ხშირი გამოცვლა და, ალბათ, „ბაიერნში" დავრჩები. ჩემი ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადა კლუბთან 2003 წლის ზაფხულში იწურება. კარგი იქნება მიუნხენის კლუბში 2005 წლის ბოლომდე დავრჩე, მერე... ვნახოთ.



ოტმარ ჰიტცფელდი

## ვერონს „მანიუ" ესიზმრება



ვერონი (წინა პლანზე)

არგენტინის ნაკრებისა და იტალიის „ლაციოს" ნახევარმცველი ხუან პაბლო ვერონი ბოლო ხანს ტრავმებმა დატანჯა, ამას ისიც დაემატა, რომ წელიწადზე მეტია მას იტალიის სამართალდამცავი ორგანოები დევნიან ყალბი პასპორტის გამოყენებისათვის. მოკლედ, ფეხბურთელს უიღბლო პერიოდი დაუდგა და მან გარემოს გამოცვლა განიზრახა. არგენტინელის მზერა ჩრდილოეთს გადასწვდა: „იქ, ინგლისის პრემიერლიგაში ნამდვილად მოიძებნება კლუბი, რომელშიც ბედნიერი ვიქნები". თქვა, და გამოხმაურებამაც არ დააყოვნა — „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა შეუთვალა, შენი აგენტი გამომიგზავნე მოსალაპარაკებლადო. ეს ადამიანი, გვარად გუსტავო მასკარდი მეორე დღესვე გაჩნდა მანჩესტერში და მოლაპარაკებაც დაიწყო. შეგახსენებთ, ვერონის სატრანსფერო თანხა საკმაოდ დიდია — 32 მილიონი დოლარი..

## ახალ არგენტინელ ვარსკვლავს „ლაციოში" იწვევენ

არგენტინის ბოლო ჩემპიონატში დიდი ყურადღება მიიპყრო 20 წლის ნახევარმცველმა კასტრომანმა, რომელიც სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ამომავალ ვარსკვლავად. კასტრომანის თამაში არც იტალიელ აგენტებს გამოეპარათ და ახლა მის მიწვევას რომის „ლაციო" აპირებს.

# 5 პრეტენდენტი

### გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**ახლა, როცა ხუთკვირიანი შესვენების შემდეგ გერმანიის ჩემპიონატი განახლდა, მიმომხილველები პირველი ადგილის 5 პრეტენდენტს ასახელებენ. დღევანდელი სატურნირო ცხრილის გათვალისწინებით, ესენი არიან გელზენკირხენის „შალკე 04" (37 ქულა), მიუნხენის „ბაიერნი" (36), დორტმუნდის „ბორუსია" (36), ლევერკუზენის „ბაიერი" (34) და ბერლინის „ჰერტა" (31). საყურადღებოა, რომ ბოლო, XIX ტურში ხუთივემ მოიგო.**

როგორც ექსპერტები თვლიან, ახლანდელ ერთპიროვნულ ლიდერ „შალკეს" (მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი) სატურნირო მდგომარეობა თანდათანობით გაუარესდება. მას არდადეგების დროს არც ერთი ახალი მოთამაშე არ დაუმატებია, გუნდი საკმაოდ „გადაბერებულად" ითვლება და არცთუ სოლიდური ფინანსური შესაძლებლობები აქვს. ფიქრობენ, რომ „შალკე" საფინიშო „ჭენებას" ვერ გაუძლებს. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ეს აზრი.

რაიმე არსებითი ცვლილება არც მიუნხენის „ბაიერნში" (მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი) მომხდარა. ეს არის, რომ გამოეთხოვა 32 წლის ვეტერან ნახევარმცველ თომას შტრუნცს. იგი თავის დროზე ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა, მაღალი კლასი ჰქონდა, რომელიც დაკარგა, ახლა კი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდებოდა და ესპანურ „ოვიედოში" გადასვლა არჩია.



განახლებული გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე კარსტენ იანკერი ვარჯიშის დროს

სპეციალისტების დიდ უმრავლესობას არ შეუცვლია ადრინდელი აზრი იმის შესახებ, რომ ჩემპიონობას აუცილებლად „ბაიერნი" მოიპოვებს. უკვე შეწყდა ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ბრაზილიელი ჯოვანე ელბერი მადრიდის „ატლეტიკოში" გადასვლას აპირებს, ხოლო ალექსანდრ ციკლერი — „ლივერპულში". ახლა ელბერი აცხადებს: „მე ბევრი რამ გადავიფიქრე და მინდა ყველა დავარწმუნო, რომ „ბაიერნში" 2004 წლამდე დავრჩები, როცა დასრულდება ჩემი კონტრაქტი. მხოლოდ ამ კლუბში მაქვს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შესაძლებლობა. ეს ან ამ სეზონში მოხდება, ანდა, არასოდეს".

ახლა ჰიტცფელდს სტაბილური შემადგენლობა ჰყავს არაერთი ვარსკვლავით. განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს გუნდის ლიდერი ეფენბერგი. თითქოს მისი იარაღი მარტივია: გადაცემები წინ გაჭრილ ინკერს, ანდა, ელბერისათვის თავით დარტყმის შესაძლებლობის მიღება. მეტოქეებს ეფენბერგის მახვილგონივრული თამაში დიდ სიძნელეებს უქმნის ამჟამად ძალიან კარგად თამაშობენ მეკარე კანი და ნახევარმცველი შოლი. ამასთან, გუნდსაც აქვს სუსტი რგოლი — დაცვა, თანაც ბევრი შეცდომა მოსდით. როცა ამას წინათ კლუბის პრეზიდენტმა ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ „ბაიერნს" შეუძლია 50 მილიონი მარკის დახარჯვა, აქ, პირველ რიგში დაცვის გაძლიერება იგულისხმებოდა. იყო მოლაპარაკება „პერუჯასთან" მცველ მატარაცის შეძენის შესახებ — არაფერი გამოვიდა, ასევე მარცხით დამთავრდა მოლაპარაკება პრაღის „სლავიასთან" მცველ როსიცკის შეძენის შესახებ, აქ მიუნხენელებს დორტმუნდის „ბორუსიამ" აჯობა.

თუ „შალკესა" და „ბაიერნს" არავინ დამატებია, აქ გაცილებით უფრო მარჯვე აღმოჩნდა დორტმუნდის „ბორუსიის" მწვრთნელი მათიას ზამერი. სწორედ მან „წაართვა" „ბაიერნს" 20 წლის ტომაშ როსიცკი, რომელშიც მეტად სერიოზული თანხა — 12 მილიონი დოლარი გადაიხადა. მას შეუძლია მარცხენა ნახევარმცველადაც ითამაშოს და ნახევარდაცვის ცენტრშიც. მეტისმეტად მოძრავია, მარჯვენა ფეხით უძლიერესად ურტყამს, ჩეხეთში ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილებაც აქვს. გარდა ამისა, „ბორუსიამ" შეიძინა 30 წლის თავდამსხმელი სერენსენი ნორვეგიულ „რუსენბორგიდან" და 19 წლის თავდამსხმელი კეისი აშშ-ს პორტლენდის უნივერსიტეტიდან. ბევრს „ბორუსია" „ბაიერნის" მთავარ მეტოქედ მიაჩნია.

ყველაზე მეტი ცვლილებები ამ ზამთრის არდადეგებზე მაინც ლევერკუზენის „ბაიერში" მოხდა. ბერტი ფოგტსი გამოეთხოვა ორ მეორეხარისხოვან მოთამაშეს და შეიძინა სამი ოსტატი, რომლებიც ძალიან უნდა გამოადგეს. 8,3 მილიონი დოლარი გადაიხადა „ბაიერმა" ბრაზილიელ მცველ ლიუსიმარ და სილვა ფერეირაში, რომლის საფეხბურთო მეტსახელი, უბრალოდ, ლიუსიოა. 22 წლის ლიუსიო პორტუ — ალეგრეს „ინტერნასიონალში" თამაშობდა. შესანიშნავად ირჩევს ადგილს, აქვს ისეთი ჩინებული დრიბლინგი, რომელიც უფრო თავდამსხმელს შეეფერებოდა. ძალიან ძლიერია ორთაბრძოლაში. უყვარს შეტევაში ჩართვა. ერთი სიტყვით, ამ პირველხარისხოვანმა მცველმა უნდა გააძლიეროს დორტმუნდელთა უკანა ხაზი. კლუბმა შეიძინა კიდევ ერთი მცველი, ამჯერად არგენტინელი დიეგო პლასენტე. 23 წლის პლასენტეში,



„ბავარია" – „ბაიერი". ტარნატისა (№18) და რეეზის ორთაბრძოლის „ფინალი"

რომელიც ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში" გამოდიოდა, 5,8 მილიონი დოლარი გადაიხადეს. იგი არგენტინაში ყველაზე ნიჭიერ მცველად ითვლებოდა, ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, 1997 წელს კი ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიხვეჭა. ამ ორ მცველს ბერტი ფოგტსმა ერთი თავდამსხმელიც დაუმატა. ეს არის ბულგარელი დიმიტარ ბერბატოვი სოფიის ცსკ-დან, რომელშიც 2,4 მილიონი დოლარი გადაიხადეს. იგი 19 წლისაა და თავისი სიმაღლის (189 სმ) მიუხედავად, ძალიან მოძრავი.

რაც შეეხება ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტად დასახელებულ ბერლინის „ჰერტას" (მწვრთნელი იურგენ რებერი), იგი გამოეთხოვა ვეტერან ჰოლანდიელ თავდამსხმელ როის, რომელიც ამიერიდან „ბრედაში ითამაშებს, იჯარით გაანათხოვრა „შტუტგარტში" პორტუგალიელი რუი მარკესი და დაიმატა 18 წლის ბოსნიელი ზელიჩი, რომელიც აქამდე „ფიორენტინაში" გამოდიოდა.

სხვა გუნდებშიც არის არაერთი ცვლილება, თუმცა ძირითადად არაარსებითი ხასიათისა. „ქართულმა" „ფრაიბურგმა" (მწვრთნელი ფოლკერ ფინკე) დაიმატა 23 წლის განელი თავდამსხმელი ტანკო დორტმუნდის „ბორუსიიდან", ქართველ ნახევარმცველ გიორგი კიკნაძეში გადასახდელ თანხაში კი სულ უმნიშვნელო — 45 ათასი დოლარი მიუთითა.

ამ ჩემპიონატის თავისებურებად მიმომხილველები იმას თვლიან, რომ გარდა პირველი ხუთეულისა, რომელსაც შეიძლება „კაიზერსლაუტერნი" (მწვრთნელი ანდრეას ბრემე) და „კიოლნიც" (მწვრთნელი ევალდ ლინენი) დავუმატოთ, ყველა დანარჩენმა ძალიან უნდა იზრუნოს, რომ ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. ჯერ, რა თქმა უნდა, ადრეა ლაპარაკი უკვე განწირულ გუნდებზე, მერვე ადგილზე მყოფი „ვოლფსბურგი" ბოლო, მეთვრამეტე ადგილზე მყოფ „ბოხუმს" ათი ქულით უსწრებს და არავინ არაფრით არ არის დაზღვეული.

მორიგ XX ტურში (3 თებერვალს) „შალკეს" მატჩი აქვს სტუმრად კოტბუსის „ენერგისთან", ასევე სტუმრად თამაშობს „ბაიერნი" „ვოლფსბურგთან", დორტმუნდის „ბორუსია" მიუნხენში შეხვდება იქაურ „მიუნხენ 1860"-ს. „ბაიერს" ასევე გასვლითი მატჩი აქვს „უნტერჰახინგთან", რომელმაც შარშანდელ ჩემპიონატში დაღუპა ლევერკუზენელები, ბოლო მატჩი მოუგო და პირველი ადგილი დააკარგვინა. „ჰერტა" მიემგზავრება ბოხუმში ადგილობრივ კლუბთან შესახვედრად, რომელიც ბოლო ადგილზეა.

ვნახოთ, როგორი იქნება ლიდერების ხუთი ასეთი სტუმრობის შედეგი.

**ბივი ბამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ლიდერმა ტორონტოში წაიფორხილა

# ნბა:

**სამი ოლიმპიადის მონაწილემ, ავსტრალიელმა კალათბურთელმა შეინ ჰილმა, რომელიც ნბა-ში მოასპარეზე „მინესოტაში“ გამოდის, განაცხადა, რომ აღარ ითამაშებს ქვეყნის ნაკრებში: „ძალა აღარ მყოფნის ორ ფრონტზე ვიბრძოლო, ვინაიდან კლუბში თამაში კვირაში სამჯერ მაინც მიწევს“.**

**ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ პირველობაზე 7 მატჩი გაიმართა. სენსაციურად დამთავრდა შეხვედრა ტორონტოში, სადაც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ფილადელფია“ დამარცხდა.**

**კლივლენდი — ლეიკერსი 96:102**
კ. მილერი — 25; ლ. ბრაიანტი — 47
**ორლანდო — ინდიანა 93:86**
ო. არმსტრონგი — 23; ი. მილერი — 18
**ტორონტო — ფილადელფია 96:89**
ტ. პეტერსონი — 22; ფ. აივერსონი — 38
**ჰიუსტონი — მაიამი 85:103**
ხ. მობლი — 22; მ. მეისონი — 19
**პორტლენდი — ჩიკაგო 92:81**
პ. საბონისი — 23; ჩ. მერსერი — 22
**სიეტლი — იუტა 88:102**
ს. პეიტონი — 23; ი. მელოუნი — 25
**საკრამენტო — გოლდენ სტეიტი 105:79**
ს. უებერი — 28; გ. ჯემისონი — 18

**გუშინ:** ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — მინესოტა 83:96, ინდიანა — ბოსტონი 96:102 ოტ, ვაშინგტონი — ორლანდო 96:100, ატლანტა — ტორონტო 102:97, ნიუ-ჯერსი — დეტროიტი 103:112, მილუოკი — დენვერი 116:111, სან-ანტონიო — კლიპერსი 92:70, ფინიქსი — ვანკუვერი 101:92.



*მინესოტა — ლეიკერსი*

*უტევს ლოს-ანჯელესელი კობი ბრაიანტი (ბურთით).*

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 34 | 11 | 75,6 |
| ნიუ-იორკი | 26 | 16 | 61,9 |
| მაიამი | 28 | 18 | 60,9 |
| ორლანდო | 20 | 23 | 46,5 |
| ბოსტონი | 18 | 26 | 40,9 |
| ნიუ-ჯერსი | 14 | 32 | 30,4 |
| ვაშინგტონი | 12 | 34 | 26,1 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 26 | 17 | 60,5 |
| შარლოტი | 25 | 21 | 54,3 |
| ტორონტო | 24 | 21 | 53,3 |
| კლივლენდი | 20 | 23 | 46,5 |
| ინდიანა | 20 | 24 | 45,5 |
| დეტროიტი | 16 | 29 | 35,6 |
| ატლანტა | 15 | 28 | 34,9 |
| ჩიკაგო | 6 | 38 | 13,6 |

### დასავლეთის კონფერენცია

**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 29 | 15 | 65,9 |
| სან-ანტონიო | 27 | 15 | 64,3 |
| დალასი | 28 | 18 | 60,9 |
| მინესოტა | 28 | 18 | 60,9 |
| დენვერი | 26 | 19 | 57,8 |
| ჰიუსტონი | 22 | 23 | 48,9 |
| ვანკუვერი | 12 | 32 | 27,3 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 30 | 12 | 71,4 |
| პორტლენდი | 33 | 14 | 70,2 |
| ლეიკერსი | 28 | 15 | 65,1 |
| ფინიქსი | 25 | 18 | 58,1 |
| სიეტლი | 26 | 22 | 54,2 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 31 | 31,1 |
| კლიპერსი | 13 | 32 | 28,9 |

### ჩოგბურთი

## ტოკიოში სენსაციები მოხდა

ტოკიოში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირში „Pan Pasific open“ გუშინ მეორე წრის მატჩები გაიმართა.

„განთესილი“ ჩოგბურთელებისთვის ეს დღე უიღბლო გამოდგა: ერთდროულად სამმა ფავორიტმა ფარ-ხმალი დაყარა — ამანდა კეტცერმა, სანდრინ ტესტიუმ და ლაიზა რაიმონდმა. ცნობილი სპორტსმენების პრესტიჟი მხოლოდ ბულგარელმა მაგდალენა მალეევამ დაიცვა, რომელმაც სძლია რუსეთელ ტატიანა პანოვას 7:6, 6:2.

### პროფესიული კრივი

## მსოფლიოს პროფესიონალ მოკრივეთა თებერვლის ყველაზე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები

3 თებერვალი. ლას-ვეგასი (აშშ) **კონსტანტინ ცზიუ (25-1-1) — შარმბა მიჩელი (46-2).** WBC და WBF ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონის გაერთიანებული ტიტულის მოსაპოვებლად (63,503 კგ-მდე).

6 თებერვალი. ალმა-ათა (ყაზახეთი) **ვასილი ჟიროვი (26-0) — ანხელ გონსალესი (18-1).** IBF ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ქამარი (86,183 კგ-მდე).

10 თებერვალი. ბერლინი (გერმანია) **გრაციანო როკიჯანი (40-5-1) — იეივ დევისი (43-9-3).** ევროპის ჩემპიონის ქამარი (79, 379 კგ-მდე).

16 თებერვალი. მადრიდი (ესპანეთი) **ხავიერ კასტილეხო (51-4) — აკირა ოხიგაში (32-7-2).** WBC ჩემპიონის ქამარი (69,855 კგ-მდე).

17 თებერვალი. ლას-ვეგასი (აშშ) **გუტი ესპადესი (33-2) — ერიკ მორალესი (39-0).** WBC ჩემპიონის ქამარი (57,152 კგ-მდე).

**ჯეიმს პეიჯი (25-3) — ენდრიუ ლუისი (20-0-1).** WBA ჩემპიონის ქამარი (66,678 კგ-მდე).

17 თებერვალი. ტოკიო (იაპონია) **ტაკანორი ხატაკეამა (23-1-2) — რიკ იოშიმურა (38-3-1).** WBA ჩემპიონის ქამარი (61,250 კგ-მდე).

17 თებერვალი. კარნავალ სიტი (სამხ. აფრიკა) **ლელოხონდრო ლედვაბა (30-1-1) — ერნელ ბარტოლე (23-11-2).** IBF ჩემპიონის ქამარი (55, 338 კგ-მდე).

24 თებერვალი. ტამპა-ბეი (აშშ) **როი ჯონსი (43-1) — დერიკ ჰარმონი (17-0-1).** მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული (79,379 კგ-მდე).

**დერიკ გეინერი (37-5) — ვიქტორ პოლო (29-2-2).** WBA ჩემპიონის ქამარი (57,152 კგ-მდე).



*შეტევაზეა კონსტანტინ ცზიუ*

# დიდი რაგბი იწყება...

*(მეორე გვერდიდან)*

მსოფლიო თასის ფინალში ვერ გავედით: ორივეს თითო ნაბიჯი, ე.წ. რეპეშაჟის ბოლომდე გავლა დაგვაკლდა. შარშანდელ პირველ „ერთა თასზე“ ჰოლანდიამ ბოლოსწინა, მეოთხე ადგილი დაიჭირა. „ტიტები“ თბილისში 19 მარტს გვეწვივნენ, ჩვენგან შვიდი ლელო მიირთვეს და 6:41 წააგეს. არადა, აქამდე ხუთი წლით ადრე, 1995 წლის 24 ნოემბერს, ჰოლანდიამ კასტრიკუმში ცხრა ლელო გაუტანა და 55:3 დაამარცხა ჩვენი ძველი რჩეული გუნდი, რომლის წევრთა უმეტესობამ მატჩამდე სამი ღამე ამსტერდამში ლოთობაში გალია და 25 წუთის შემდეგ მოედანზე ჩამოძინა, თორემ თავიდან 3:0 იგებდა. თბილისამდე ჰოლანდიამ ესპანეთში 8:33 წააგო, შინ რუმინეთთან 10:39 დამარცხდა, მერე კი მაროკოში 15:44 იქნა ძლეული. ნათბილისევს „ტიტები“ თასიდან სინზე გავარდნის პირას იდგნენ, მაგრამ ბოლო ტურში, ამსტერდამში, წამატებულ დროშიღა დაალეწვეს პორტუგალია, 13:11 გაიმარჯვეს და ცხრილში მას პირადი მოგებით გადაუსწრეს. მერე, ივნისში, ევროპული სარაგბო გაერთიანების (აერ) იერუსალიმის თავყრილობაზე გადაწყდა, რომ ევროპული საძმოდან დაეთხოვათ აფრიკელი მაროკო. ასე რომ, სინის მომგები რუსეთი თასზე ამოვიდა, პორტუგალია დამცრობას გადარჩა, და 2001 წლისთვის შედგა წმინდად ევროპული სათასო ექვსეული. დადგა აგვისტო და გადადგა „ტიტების“ ზელანდიელი მწვრთნელი ჯეფ ოულდი. ამ კაცმა ოთხი წელი მოძლვრა ჰოლანდიელები, მაგრამ იმას კი ვერაფრით მიაღწია, რომ ალალად მოყვარულ შეგირდებს ნაკრების ვარჯიში არ გაეცდინათ. ოულდი უმუშევარი დიდხანს არ ყოფილა. იგი უმალ შენიშნეს ამერიკელებმა, კოლორადოში ოჯახიანად დაასახლეს და აშშ-ის რაგბის კავშირის „თამაშის დირექტორად“ დანიშნეს. არადა, ჯეფის თავკაცობით ჰოლანდიამ თავიდან მაგრად მოუმატა, მაგრამ მალე მიაღწია შესაძლებლის ზღვარს და ბევრჯერ მწარედ წააგო. თავად განსაჯეთ: 1997-98 წლებში, წინა მსოფლიო თასის მეორე შესარჩევ სტადიაზე, „ტიტებმა“ შინ სძლიეს პოლონეთს 49:7 და უკრაინას 35:15, სტუმრად ბელგია 19:16 და მხოლოდ რუმინეთთან წააგეს გასვლა 3:42. ამით მათ ჯგუფში მეორე, გამსვლელი ადგილი ხვდათ. მაგრამ 1998-99 წლებში, მესამე შესარჩევ სტადიაზე, ინგლისში, ჰოლანდიამ მასპინძელთან 0:110 წააგო, ხოლო იტალიასთან 7:67. მერე, რეპეშაჟში, შინ 31:30 სძლია კორეას, მაგრამ სტუმრად 14:78 განადგურდა და გავარდა. მას აქეთ ოულდმა გუნდი საგრძნობლად გადაახალისა.



პენსიაზე გავიდნენ ვეტერანები: კვაჭი ივ კუმერი და უნივერსალი ბეკი მაც მარკერი. კიდევ, შინისკენ გაუტია ტომით ზელანდიელმა მარბიელმა ნიკ ჰოლტენმა, ვისაც კარიერის ზენიტში ელიტარულ „ზე თორმეტში“, ვაიკატოს შემადგენლობაშიც კი უთამაშია. უოულდოდ ჰოლანდიამ უკვე გამართა ორი თამაში. შარშან, 12 დეკემბერს, ამსტერდამში „ტიტებმა“ საზარლად, 10:100 (ათით ასი) წააგეს ევროპაში მოგზაურ სამხრეთაფრიკის 23-წლამდე ნაკრებთან, რომელშიც მრავლად იყვნენ ფერადები და ზანგები. იმ თამაშში ჰოლანდიამ 16 ლელო გაუშვა. პირველი ტაიმი 3:43 მორჩა. ნახტეხაალმა სამი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი შეაგდო, სტრააცმა კი სტუმრებს ერთხელ დარტყმაზე დაუფარა და ლელო გაუტანა. ჰოლანდიამდე აფრიკამ 36:15 დაამარცხა პორტუგალია, ბოლოს კი მაროკოს ეწვია კასაბლანკაში და 44:14 მოუგო, თუმცა პირველ ტაიმში 15:14 ძლივს აჯობა. ჰოლანდია ჯეელ „ქურციკებს“ ამ გუნდით ეთამაშა: 15 მარტეინ ნახტეხაალი (ჰააგა), 11 ხერარდ ფიხუურსი (ამსტერდამი), 14 რიკ ლიპსი (ჰააგა); 13 კაილ სტრააცი (როტერდამი), 12 კრეინ დესხუტერი (ჰააგა), 10 ბიორნ ფერფურტი (უსტერვეიკი); 9 სეილფესტერ რამაკერი (როტერდამი) — 1 რუბენ ბეილი (უეიკფილდი, ინგლისი), 2 ბას ბოსვინკელი (ამსტერდამი), 3 ანდრე სმიტი (კასტრიკუმი); 4 ნიკო ფანჰირდენი (ამსტერდამი, კაპიტანი), 5 იუსტ ფანრაპარდი (ლეიდენი); 6 პატრიკ ბრუეიმანსი (ამსტერდამი), 7 რობ ფანდერფენი (ბიარიცი, საფრანგეთი), 8 ვილნუს ფერსტეინენი (ლეიდენი) აქედან ერთი თვის თავზე, უკვე 2001 წელს, „ტიტები“ ვატერლოოში ეწვივნენ ბელგიას და საშინელ ლაფში 0:8 წააგეს. ამ დღეს კიდევ შვიდი ჰოლანდიელის დებიუტი შედგა. რაც შეეხება ბელგიას, იგი წელს ჰოლანდიაზე ორი დონით დაბლა, მსოფლიო თასის I შესარჩევ სტადიაზე ასპარეზობს და თავის პულს ლიდერობს.

ჰოლანდიის ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონი (28 იანვარს): ჰააგა 61 ქულა (13 თამაშიდან), კასტრიკუმი 57 (15), ამსტერდამი 50 (13), რუზენდაალი 41 (14), ასკრუმი 38 (14), როტერდამი 20 (13), ლეიდენი 17 (14), ეემლანდი 16 (14), ბასეცი 15 (10), ამსტელფეენი 3 (15).

ზაალ ბიბინეიშვილი

### ფორმულა-1

## რიო-დე-ჟანეირო „ფორმულა-1“-ზე ოცნებობს

ბოლოს „ფორმულა-1“-ის ეტაპი რიო-დე-ჟანეიროში 1989 წელს ჩატარდა. მერე ეს უფლება ამ ქალაქს სან-პაულუმ ჩამოართვა. მას შემდეგ ოსტაპ ბენდერის ოცნების ქალაქის მამებმა მოსვენება დაკარგეს, ყველაფერს აკეთებენ, რათა დაკარგული დაიბრუნონ. შარშან რიოს ავტოდრომის „ჟაკარაპაგუას“ ტრასის განახლების მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. ქალაქის გუბერნატორის ანტონი გაროტინიოს განცხადებით, უკვე გაისად რიო მზად იქნება მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის ჩასატარებლად.

### ხელბურთი

## ნახევარფინალების დროც დადგა

მსოფლიო ჩემპიონატზე ხელბურთელმა ვაჟებმა მერვედფინალური მატჩები მოილიეს. ნახევარფინალები დღეს გაიმართება.

**1/8 ფინალი.** რუსეთი — კორეა 28:26, შვედეთი — არგენტინა 32:23, ესპანეთი — ნორვეგია 28:23, უკრაინა — ხორვატია 37:34 (ორი ოვერტაიმი), საფრანგეთი — პორტუგალია 23:18, ეგვიპტე — ალჟირი 23:21, იუგოსლავია — ისლანდია 31:27, გერმანია — ტუნისი 26:24.

**1/4 ფინალში** შეხვდებიან: შვედეთი — უკრაინა, ესპანეთი — იუგოსლავია, რუსეთი — ეგვიპტე, საფრანგეთი — გერმანია.

### ფეხბურთი

## შოთა გზისსაყარზეა, ინგლისელები კი სასწრაფოდ პასუხს ელიან



ინგლისის პრემიერლიგის შუაგულში მყოფი „ასტონ ვილას“ სკაუტები მსოფლიოს მოედნენ – ისინი გუნდისათვის თავდამსხმელს ეძებენ. ბოლო ხანს მათი ყურადღება მიპყრობილია საქართველოს ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის“ ფორვარდ ***შოთა არველაძისაკენ***. „ჩემს აგენტს რამდენჯერმე დაურეკეს „ასტონ ვილას“ წარმომადგენლებმა. მათ აინტერესებთ რა აზრის ვიქნები, თუ შემომთავაზებენ იქაურ კლუბში გადასვლას... ჩემმა აგენტმა ივან ბენეშმა მაცნობა, რომ ბირმინგემელებს ძალიან სერიოზული განზრახვა აქვთ ჩემს მიმართ. ადრე ვთქვი: ჰოლანდიიდან მხოლოდ ინგლისის, ესპანეთის ან იტალიის კლუბში თუ წავიდოდი. გამოგიტყდებით, ყველაზე ძალიან მსურს იტალიის სერია A-ში ვითამაშო. „ფიორენტინას“ ახლანდელი მწვრთნელი ფატიხ თერიმი რამდენჯერმე შემეხმიანა და თავის გუნდში გადასვლა შემომთავაზა. ადრე ეს ვარიანტი სათუო იყო, მაგრამ ახლა „ფიორენტინაში“ სიტუაცია გამოსწორდა და თუ თერიმი კიდევ ერთხელ დამიკავშირდა, თანხმობას განვაცხადებ...“

# ქალი – 50, ვაჟი – 102

**ფიდეს სამდივნომ ეროვნულ საჭადრაკო ფედერაციებს დაუგზავნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების „რეიტინგ-ლისტი“, რომელიც ძალაში მიმდინარე წლის ივლისამდე იქნება. ეს სია ყოველთვის ჭადრაკის მოყვარულების დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე.**

***ქალები.*** 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი, დიდოსტატი ქალთა და ვაჟთა შორის) — 2676 ქულა. 2. მსოფლიო ჩემპიონი სიუ ჟუნი (ჩინეთი, დიდოსტატი ქალთა და ვაჟთა შორის) — 2557. 3. ალისა გალიამოვა (რუსეთი, დიდოსტატი ქალთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის) — 2554. 4. ჟუ ჩენი (ჩინეთი) — 2538. 5. მაია ჩიბურდანიძე (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი ქალთა და ვაჟთა შორის) — 2525. 6. ვან პინი (ჩინეთი) — 2506. 7. ჰუ იუჰუა (ჩინეთი, მსოფლიო თასის მფლობელი) — 2500. 8. ნანა იოსელიანი (დიდოსტატი ქალთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის) — 2499. 9. პია კრამლინგი (შვედეთი, დიდოსტატი ქალთა და ვაჟთა შორის) — 2492. 10. კი კანინი (ჩინეთი) — 2489. 11. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — 2486. 12. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) — 2479. 13. ვან ლი (ჩინეთი) — 2473. 14. სოფია პოლგარი (უნგრეთი) — 2469. 15. ჰოანგ ტან ტრანგი (ვიეტნამი) — 2465. 16. კორინა პეპტანი (რუმინეთი) — 2461. 17. ნატაშა [illegible] (იუგოსლავია) — 2460. 18. ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, ევროპის ჩემპიონი) — 2460. 19. ნინო ხურციძე (დიდოსტატი ქალთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის) — 2459. 20. ქეთევან კახიანი (გერმანია, დიდოსტატი ქალთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის) — 2456. 21. სკრიპჩენკო — ლოტიე (მოლდავეთი) — 2450. 22. სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) — 2449. 23. ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 2446. 24. ჯაო ჰოე (ჩინეთი) — 2440. 25. ჰუ ჰუანიანი (ჩინეთი) — 2437. 26. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) — 2433. 27. ანა ზატონსკიხი (უკრაინა) — 2432. 28. ტატიანა ვასილიევიჩი (უკრაინა) — 2428. 29. ჰარიეტ ჰანტი (ინგლისი) — 2426. 30. ვან იუ (ჩინეთი) — 2426. 31. მაია ლომინეიშვილი — 2425. 32. ოლგა ალექსანდროვა (უკრაინა) — 2425. 33. სვეტლანა პრუდნიკოვა (იუგოსლავია) — 2422. 34. კრისტინა ადელა ფოიშორი (რუმინეთი) — 2418. 35. ვიაიალაკშმი (ინდოეთი) — 2416. 36. ქეთევან არახამია — 2416. 37. ტატიანა სტეპოვაია (რუსეთი) — 2411. 38. ზოია ლელჩუკი (გერმანია) — 2411. 39. ევგენია ოვოდი (რუსეთი) — 2404. 40. ალექსანდრა კოსტენიუკი — 2402. 41. ილდიკო მადლი (უნგრეთი) — 2394. 42. ელენა სედინა (უკრაინია) — 2393. 43. პენ ჯაოკინი (ჰოლანდია) — 2393. 44. იულია გალიანინა (რუსეთი) — 2393. 45. ირინა ჩელუშკინა (იუგოსლავია) — 2385. 46. ინა გაპონენკო (უკრაინა) — 2383. 47. იანა ჰაკოვა (ჩეხეთი) — 2380. 48. ირინა კრაში (აშშ) — 2380. 49. პეი ლიუ (ჩინეთი) — 2378. 50. ირინა ლიმარი (უკრაინა) — 2377 ქულა.



გარი კასპაროვი

***ვაჟები.*** 1. გარი კასპაროვი (რუსეთი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი) — 2849. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით) — 2790. 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, მსოფლიო ჩემპიონი „ინტელექტუალური თამაშების“ ვერსიით) — 2772. 4. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2746. 5. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 2745. 6. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — 2745. 7. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — 2718. 8. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2718. 9. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 2717. 10. ბორის გელფანდი (ისრაელი) — 2712. 11. ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 2709. 12. ლიუკ ვან ველი (ჰოლანდია) — 2700. 13. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) — 2695. 14. მიხაილ გურევიჩი (ბელგია) — 2694. 15. რუსტამ კაზიმჯანოვი (უზბეკეთი) — 2693. 16. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფიდეს ვერსიით) — 2690. 17. ილია სმირინი (ისრაელი) — 2686. 18. ალექსეი დრეევი (რუსეთი) — 2685. 19. ვიქტორ ბოლოგანი (მოლდავეთი) — 2684. 20. ანატოლი კარპოვი (რუსეთი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი) — 2679. 21. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — 2677. 22. კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) — 2676. 23. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2676. 24. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 2676. 25. ვლადისლავ ტკაჩოვი (საფრანგეთი) — 2672. 26. იე იანგჰუანი (ჩინეთი) — 2671. 27. ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2670. 28. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — 2663. 29. სერგო მოვსესიანი (ჩეხეთი) — 2661. 30 ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 2659. 31. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი) — 2658. 32. ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) — 2658. 33. ალექსანდრ ონიშჩუკი (უკრაინა) — 2658. 34. სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) — 2657. 35. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) — 2656. 36. იუნ ჰუ (ჩინეთი) — 2655. 37. პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 2652. 38. ალექსანდრ ნენაშევი (უზბეკეთი) — 2649. 39. პენგი (ჩინეთი) — 2648. 40. არტურ იუსუპოვი (გერმანია) — 2645. 41. რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი) — 2641. 42. ზოლტან ალმაში (უნგრეთი) — 2640. 43. ულფ ანდერსონი (შვეცია) — 2640. 44. იასერ სეირავანი (აშშ) — 2640. 45. სერგეი შიპოვი (რუსეთი) — 2640. 46. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 2630. 47. კონსტანტინ საკაევი (რუსეთი) — 2649. 48. ანდრეი ხარლოვი (რუსეთი) — 2639. 49. ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) — 2638. 50. იაან ელვესტი (ესტონეთი) — 2638. 51. ალექსანდრე კრიშანი (რუმინეთი) — 2645. 52. მეტიუ სადლერი (ინგლისი) — 2633. 53. იერუნ პიკეტი (ჰოლანდია) — 2632. 54. ალექსანდრ ლასტინი (რუსეთი) — 2631. 55. რუსტემ დაუთოვი (გერმანია) — 2631. 56. ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი) — 2631. 57. ბორის ავსუხი (ისრაელი) — 2630. 58. ედუარდას როზენტალისი (ლიტვა) — 2630. 59. იან ტიმანი (ჰოლანდია) — 2629. 60. პაველ ტრეგუბოვი (რუსეთი) — 2628. 61. ბორის გულკო (აშშ) — 2622. 62. ალექსანდრ რუსტემოვი (რუსეთი) — 2620. 63. ვალერი ფილიპოვი (რუსეთი) — 2619. 64. კურტ ჰანსენი (დანია) — 2619. 65. კრისტიან ბაუერი (საფრანგეთი) — 2618. 66. ლიუბომირ ეტაშნიკი (სლოვაკია) — 2618. 67. ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) — 2618. 68. ევგენი ნაერი (რუსეთი) — 2616. 69. რობერტ ჰიუბნერი (გერმანია) — 2616. 70. ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) — 2613. 71. ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა) — 2613. 72. სერგეი სმაგინი (რუსეთი) — 2613. 73. იგორ ხენკინი (გერმანია) — 2612. 74. ევგენი ვლადიმიროვი (ყაზახეთი) — 2612. 75. ალექსეი ალექსანდროვი (ბელორუსია) — 2610. 76. კონსტანტინ ლანდა (რუსეთი) — 2610. 77. კრისტოფერ ლუტცი (გერმანია) — 2609. 78. ალექსანდრ შაბალოვი (აშშ) — 2609. 79. ჟილბერტო მილოში (ბრაზილია) — 2608. 80. მაგერამ მაგომედოვი (რუსეთი) — 2608. 81. სმბატ ლპუტიანი (სომხეთი) — 2607. 82. გრეგორ კაიდანოვი (აშშ) — 2607. 83. ჩან ჩონი (ჩინეთი) — 2607. 84. ემილ სუტოვსკი (ისრაელი) — 2605. 85. ვადიმ მილოვი (შვეიცარია) — 2604. 86. მიხაილ მარინი (რუმინეთი) — 2604. 87. ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 2604. 88. იოსიფ დორფმანი (საფრანგეთი) — 2602. 89. ზბიგნეთ ჰრაჩეკი (ჩეხეთი) — 2602. 90. კრიშნან შაშიკირანი (ინდოეთი) — 2601. 91. ტონი ნაიდოვსკი (მაკედონია) — 2601. 92. ოლეგ კორნეევი (რუსეთი) — 2600. 93. ლევ ფსახისი (ისრაელი) — 2598. 94. ალექსანდრ ბაბურინი (ირლანდია) — 2598. 95. სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) — 2597. 96. ანდრეი შარიაზდანოვი (რუსეთი) — 2596. 97. ჯულიან ჰოჯსონი (ინგლისი) — 2596. 98. იგორ ნოვიკოვი (უკრაინა) — 2596. 99. ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი) — 2596. 100. ვლადიმირ ტუკმაკოვი (უკრაინა) — 2595. 101. ტომაშ მარკოვსკი (პოლონეთი) — 2595. 102. ალექსანდრ გოლდინი (ისრაელი) — 2595 ქულა.



იუდით პოლგარი

## კრიმინალი

### ოლიმპიური ჩემპიონი თაღლითი გამოდგა

**უნგრელი მოჭიდავე, სეულში 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ანდრეას საიკი თაღლითობისათვის წელიწადნახევარს გაატარებს ციხეში. დამტკიცებულია, რომ საიკმა და მისმა მეუღლემ, დოკუმენტების გაყალბებით 62 ათასი დოლარის საფასურად შეიძინა ორი ბინა.**

## ელგუჯა (გუჯა) ლუდუშაური



**54 წლისა, მოულოდნელად გარდაიცვალა წარსულში ცნობილი ფალავანი და სპორტული მუშაკი, ქართული საჭიდაო სამყაროს ღირსეული წარმომადგენელი ელგუჯა ლუდუშაური.**

**ჭიდაობას ყმაწვილობიდან ეზიარა და მალე გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა, ენერგიულმა და შეუპოვარმა ფალავანმა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა, საკავშირო ხალიჩაზეც ისახელა თავი — გახდა თასის მფლობელი ახალგაზრდებს შორის, მერე „ლოკომოტივის“ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ცხადია, უკვე მოზრდილებში.**

**სპორტიდან არც მას შემდეგ წასულა, რაც ჭიდაობას თავი გაანება. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტდამთავრებული ჭიდაობის სახეობებში უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორად ინიშნება. მერე სახელმწიფო მწვრთნელის თანამდებობა ეკავა სპორტის სახელმწიფო კომიტეტში და, იქვე ორთაბრძოლების სამმართველოს ედგა სათავეში. არ წყვეტდა პრაქტიკულ საქმიანობას და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მიენიჭა.**

**შესანიშნავი სპეციალისტი ცხოვრებაშიც სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით გამორჩეული პიროვნება იყო. იცოდა სამაგალითო მეგობრობა, თანადგომა. სიცოცხლის ბოლომდე მოჭიდავეთა სამყაროში ტრიალებდა, ხარობდა ახალგაზრდა ფალავნების წარმატებებით და გამოცდილებას უზიარებდა ახალბედა მწვრთნელებს.**

**ელგუჯა ლუდუშაურის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება იმათი გულებიდან, ვინც ამ შესანიშნავ ადამიანს ახლოს იცნობდა.**

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.



**საქართველოს სამბოს ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 70 წლისა გარდაიცვალა სამბოში საქართველოს, უკრაინის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მრავალ შეჯიბრებებში გამარჯვებული**

**იოსებ (სოსო) ბრატიაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ხელბურთის ასოციაცია და ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდი ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ნაკრების ექიმს, ვეტერან ხელბურთელს იური გოგიაშვილს შვილის**

**ირაკლი გოგიაშვილის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

პანაშვიდი 2.02, 16 საათზე; გამოსვენება 3.02, 14 საათზე (იოსებიძის, 51-ა).

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**2 თებერვალი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ევრიკა. „მსოფლიო სპორტი“. (20.00). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (11.40, 14.40). მიკროთვითმფრინავები. ევროპის ჩემპიონატი (18.50), ტაილანდური კრივი (19.20), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 9.00, 15.30), რაგბის სამყარო (17.30), ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (21.00), არგენტინის ჩემპიონატი (22.00), ***EUROSPORT.*** სამთოთხილამურები. მსოფლიო პირველობა (11.30, 14.30, 20.30, 23.00, 1.30, 3.15). თხილამურები. მსოფლიო თასი (16.00). კალათბურთი. ევროლიგა (22.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა-2000 (13.15, 16.00, 18.45, 21,20), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (20.30), გერმანიის (23.10), იტალიის (1.20), ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**3 თებერვალი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი (23.30), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (22.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. (11.40, 23.30), „ბილიარდის მეფეები“ (18.25), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (20.15). „დიდი რინგი“ (21.30). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 7.30, 10.30, 19.00, 21.30), ცხენოსნობა. დაიჯესტი (2.00), იტალიის ფეხბურთი (2.30). ***EUROSPORT.*** სამთოთხილამურები. მსოფლიო პირველობა (14.45, 21.15, 1.30, 3.30), თხილამურები. მსოფლიო თასი (19.00, 20.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25). ინგლისის (20.35), იტალიის ან ესპანეთის (23,25, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**4 თებერვალი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბოლ მონდიალი (18.40). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (21.30). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (17.45), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30). ჰოკეი. ნხლ-ს ვარსკვლავთა მატჩი (23.30). ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის (9.00, 19.00), ესპანეთის (15.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. აზიის ფეხბურთი (14.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), ინგლისის (14.55, 19.55), იტალიის (16.35, 23.25), ესპანეთის (18.15, 1.35), საფრანგეთის (22.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა.



## კროსვორდი №9

**თარაზულად:** 1. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 4. ავიაკატასტროფაში მოხვედრილი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი, 8. საჭადრაკო ფიგურა, 9. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 10. აფხაზეთის კურორტი, სადაც გუნდები გადიოდნენ შეკრებებს, 11. ბილიარდის სამიზნე, 12. აბაშის საფეხბურთო კლუბი, 14. „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელი, 16. რუსი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 17. „ბაიერის“ ფორვარდი, 18. 80-იან წლებში საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, ფორვარდი, 19. ინდოელი მოჭადრაკე, 22. ინგლისის პრემიერლიგის კლუბი, 25. ძალოსნობის სახეობა, 27. უწინ ფრუნზეს საფეხბურთო კლუბი, 28. ინგლისელი ფერადკანიანი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 29. ჩეხი ტრამპლინიდან მხტომელი, 31. თბილისის საფეხბურთო კლუბი, 32. ფრანგი ფეხბურთელი, მეკარე.

**შვეულად:** 2. წარსულში სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, 3. სახელგანთქმული კანადელი ჰოკეისტი, 5. არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი, 6. წარსულში სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე, 7. წარსულში „მილანის“ მცველი, 13. წარსულში „პახტაკორის“ თავდამსხმელი, 14. აზიის საფეხბურთო კონფედერაციის წევრი ქვეყანა, 15. ფორმულა-1-ის ავტოდრომი იტალიაში, 20. წარსულში ფრანგი ჩოგბურთელი, 21. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 23. სპორტსაზოგადოება, 24. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 26. გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 30. წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე.

## №8 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. გრენობლი, 8. მოგვერდი, 10. შავლო, 11. ბლანი, 12. ეისებიო, 15. ატაცი, 16. ფინტი, 18. კრივი, 19. არეკნი, 20. მაილსი, 24. პრიზი, 25. ედერი, 26. „ჩელსი“, 28. დიკანიო, 32. „ზანა“, 33. ბადრო, 34. „ჩიტადელა“, 35. ანასტაზი. **შვეულად:** 1. არბალეტი, 2. ონილი, 3. ალური, 4. კორტი, 5. ბეილი, 6. „ოდინცოვო“, 9. შტეინი, 13. ნიგერია, 14. სკილაჩი, 16. ფინკე, 17. ირანი, 21. არახამია, 22. თენაძე, 23. „ასპარეზი“, 27. მარაო, 30. იარნი, 31. „ნანტი“.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.